Arabesque

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე No4'06

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჩვენ ვზრუნავთ

Arabesque

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე No4'06

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის
საბალეტო დასის ჟურნალი

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი
ნინო ანანიაშვილი

02 ნინო ანანიაშვილის მილოცვა

04 BALLET-INFO

06 „მაკნატუნა“ პატარებისა და... დიდებისათვის

08 ახალი სპექტაკლები: ბურნონვილის
რომანტიკა თბილისში

10 ახალი სპექტაკლები:
„ორი მტრედი“

12 სათავეებთან: „მზეჭაბუკი“ – პირველი
ქართული ბალეტის შექმნის 70 წელი

13 სათავეებთან: ანა წერეთელი:
„ფანატიკურად გიყვარდეთ თეატრი!“

14 ოსტატები:
ლილიანა მითაიშვილი

15 ოსტატები:
მარინა ალექსიძე

16 როგორ იქმნება სპექტაკლი:
სამყარო ფარდის მიღმა

18 ესკიზები კორდებალეტისათვის:
ეკა შავლიაშვილი, ნინო მახაშვილი,
გიორგი ჩხაიძე, ლანა მღებრიშვილი,
ალისა ბოგდანოვა

21 სოლისტი:
გიორგი საგინაშვილი

21 კოლა ფეიქრიშვილის
გამოფენა

22 BALLET-INFO

24 საბალეტო დასის სპექტაკლების განრიგი
2006/2007 წლების სეზონისთვის

შობა-ახალი წლის დღეებში, დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, თეატრში „მაკნატუნას“ წარმოადგენენ. საუკუნეა საბალეტო სამყაროში ეს ტრადიცია არსებობს. ამჯერადაც ასე იქნება. ახალი წელი ის დროა, როცა მომავალზე ფიქრობ, გეგმებს განსაზღვრავ. მაგრამ, მომავალი წარსულის გარეშე არ არსებობს. 2006 წლის ბოლოს, 27 დეკემბერს, 70 წელი შეუსრულდება პირველ ქართულ ბალეტს – ანდრია ბალანჩივაძის „მთების გულს“, რომელსაც თავდაპირველად „მზეჭაბუკი“ ერქვა. მისი დადგმა ლეგენდარულ ვახტანგ ჭაბუკიანს ეკუთვნის. ჩვენ თეატრში დღესაც არიან ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ ეს სპექტაკლი და თავადაც ცეკვავდნენ მასში. ამ ბალეტის შექმნით ქართულ საბალეტო ხელოვნებაში დიდი ძვრები მოხდა. ჭაბუკიანმა აამაღლა დასის პროფესიონალიზმი, შექმნა ახალი ბალეტები. ფაქტობრივად, ეს დღე ქართულ ბალეტში შემობრუნების დღედ იქცა.

ჭაბუკიანის მემკვიდრეობას თეატრის საბალეტო დასი კიდევ ერთხელ მიუბრუნდება. უკვე დაიწყო მუშაობა „ლაურენსიის“ დადგმაზე, რომელსაც ნუკრი მაღალაშვილი ახორციელებს.

ამ და სხვა საინტერესო სიახლეებზე შემდეგ ნომერში მოგითხრობთ.

გარეკანზე: პირველ გვერდზე: სცენა სპექტაკლიდან „მაკნატუნა“, იური მურადოვის ფოტო; მესამე გვერდზე: სცენა სპექტაკლიდან „ორი მტრედი“, ახალგაზრდა გოგო – ანა მურადელი, ახალგაზრდა ბიჭი – ლაშა ხოზაშვილი; მეოთხე გვერდზე: სცენა სპექტაკლიდან „გედების ტბა“. ლადო ვაჩნაძის ფოტოები.

რედაქტორი ილია თავგერიძე

ტექნიკური რედაქტორი ქეთევან ნოზაძე
დიზაინი ბესიკ დანელია

ნომერში გამოყენებულია ლადო ვაჩნაძის, იური მურადოვის, კოტე ნინიკაშვილის, ბალეტის მსახიობთა არქივისა და ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმის ფოტოები.

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25, ტელ.: 98 32 54, 99 93 64

www.ballet.ge

ეს წელიც მიიწურა. თითქოს გუშინ იყო... ახალ წელს დიდი თოვლი მოჰყვა, თოვლს კი ხელოვნურად შექმნილი პრობლემები. ქალაქში არ იყო გაზი, შუქი, მოძრაობა ჭირდა. თეატრში კი - „გედების ტბაზე“ დარბაზი გადაიჭედა. ასეთი სიყვარული ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ნიშნით ჩაიარა 2006 წელმა, რომელიც საბალეტო დასისათვის შემოქმედებითად საინტერესო გამოდგა. ოთხი პრემიერა გაიმართა. კლასიკური შედევრის - „ჟიზელის“ გვერდით კვლავ წარმოვადგინეთ ბალანჩინის ქორეოგრაფია. დაიდგა თავისი მასშტაბით უდიდესი ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“. შემოდგომაზე კი მაყურებელს ბურნონვილისა და ეშტონის ქორეოგრაფია შევთავაზეთ.

რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ დასი პირველად იმყოფებოდა საგასტროლოდ, XIII საერთაშორისო საბალეტო ფესტივალზე, დონეცკში და დიდი შეფასება დაიმსახურა. პრემიერები მომავალ წელსაც გვექნება. წინ გველის სერიოზული გასტროლები ამერიკასა და იაპონიაში.

მე მჯერა ჩვენი გამარჯვებების; მჯერა ქართული ბალეტის აღმავლობის. მჯერა ჩვენი მაყურებლის სიყვარულის და ერთგულების. სწორედ მათ მინდა, უპირველესად, მივულოცო ახალი წელი.

შობა-ახალ წელს ვულოცავ ჩვენი დასის წევრებსა და პედაგოგებს, თეატრის მთელ კოლექტივს.

ბედნიერება და სიკეთე დაებედოს ჩვენს ქვეყანას!

„მაკნატუნას“ კოული უდირიჟორებს

შობა-ახალი წლის დღეებში საბალეტო დასი ტრადიციულად წარმოადგენს პეტრე ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“. პირველ ორ სპექტაკლს, 5 და 6 იანვარს კალიფორნიის უნივერსიტეტის, ბერკლის Call performances დირექტორი, პროფესორი რობერტ კოული უდირიჟორებს. იგი თბილისში მეორედ ჩამოდის. მაისში კოული „რომეო და ჯულიეტას“ საპრემიერო სპექტაკლებს დირიჟორობდა. ამჯერად, კოულმა უარი თქვა სპექტაკლების ჰონორარზე და საბალეტო დასის ხელმძღვანელობას თანხის საქველმოქმედო მიზნებისათვის გამოყენების საშუალება მისცა.

პრეს-კონფერენცია პრემიერის წინ

ალექსანდრე ვასილიევი, მარგარეტ ბარბიერი, ირაკლი ბახტაძე, ლალი კანდელაკი და ენტონი რასელ-რობერტსი „ორი მტრედის“ პრემიერის შემდეგ

მორიგი პრემიერის წინ, 25 ოქტომბერს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ცისფერ დარბაზში „კონსერვატორიისა“ და „ორი მტრედის“ დამდგელმა ჯგუფმა პრესკონფერენცია გამართა. მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ: დანიის სამეფო თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი ფრენკ ანდერსენი, Covent Garden-ის სამეფო თეატრის ბალეტმაისტერი მარგარეტ ბარბიერი, კოსტიუმებისა და დეკორაციების მხატვრები ალექსანდრე ვასილიევი, დავით მონავარდისაშვილი, ნათია სირბილაძე, დამდგმელი დირიჟორი ზაზა კალმახელიძე, თეატრის დირექტორი დავით საყვარელიძე და საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი.

მარგარეტ ბარბიერმა, რომელმაც დენის ბონერის შემდეგ დასთან „ორი მტრედის” დადგმაზე იმუშავა, ჟურნალისტებს განუცხადა: „ძალიან სასიამოვნო იყო ქალბატონ ნინოსა და მის დასთან მუშაობა. საინტერესოდაა შედგენილი პროგრამა. ბურნონვილის „კონსერვატორიის“ შემდეგ ეშტონის „ორი მტრედის” წარმოდგენა საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნოთ ქორეოგრაფიის განვითარების ეტაპებს. „ორ მტრედთან” ბევრი რამ მაკავშირებს; თავად ვცეკვავდი ორივე წამყვან პარტიას და უშუალოდ ეშტონთან ვმუშაობდი. მახსოვს თითოეული მოძრაობა, შენიშვნა და ვეცადე, სწორედ ეს სული ყოფილიყო გადმოცემული სპექტაკლში”.

ფრენკ ანდერსენის აზრით, „საბალეტო დასმა დიდი პროგრესი განიცადა, რის მომსწრეც თავად ვარ. მუშაობის პროცესი საინტერესო იყო. მსახიობთა შესრულების მანერა, ტექნიკა და პროფესიონალიზმი უფრო კარგია, რაც აუცილებელია ბურნონვილის ქორეოგრაფიისათვის“.

თეატრის დირექტორმა დავით საყვარელიძემ ჟურნალისტების ყურადღება მიაქცია იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ აგვისტოს გაუსაძლის სიცხეებში ბალეტის მსახიობები, პედაგოგ-რეპეტიტორები და დამდგმელი ჯგუფი მთელი დატვირთვით მუშაობდნენ. თეატრში ნაყოფიერი და საინტერესო მუშაობაა, რაც ნამდვილად იმსახურებს დადებით შეფასებას.

ენტონი რასელ რობერტსი თბილისში

ეშტონის ბალეტის „ორი მტრედის” პრემიერაზე თეატრს ერთი დღით ეწვია ინგლისის სამეფო თეატრის Covent Garden-ის ადმინისტრაციული დირექტორი ენტონი რასელ რობერტსი. იგი ამ ბალეტის ლიცენზიის მფლობელია, რადგან თავად ეშტონის ძმისწული გახლავთ. ამდენად, დასისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის შეფასებას. პრემიერის შემდეგ ენტონი რასელმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სპექტაკლი შედგა და აღფრთოვანებულია როგორც დასის შესრულებით, ასევე დამდგმელი მხატვრების ნამუშევრით. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა დენის ბონერსა და მარგარეტ ბარბიერს, რომლებმაც თბილისში ბალეტის დადგმა განახორციელეს. Covent Garden-ის ადმინისტრაციული დირექტორი კმაყოფილია ნინო ანანიაშვილთან თანამშრომლობით და იმედს გამოთქვამს, რომ ეს შემოქმედებითი ურთიერთობები შემდგომშიც გაგრძელდება.

ბიძინა კვერნაძე, კომპოზიტორი:

ჩვენი საბალეტო დასი მშვენიერ ფორმაშია. სპექტაკლები მაღალი დონისაა. დასი უდიდეს ენერგიას იძლევა. გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდა მოცეკვავეები. ამ ტემპით და მუშაობით, გენიალური ქალბატონი ნინო შესძლებს ქართული ბალეტი საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვოს. სამომავლოდ ვისურვებდი ეროვნულ თემატიკას რეპერტუარში, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების დადგმას. ძალიან გამიხარდა, რომ თეატრმა შეიძინა ახალი ინსტრუმენტები ორკესტრისათვის, რაც კიდევ უფრო დაეხმარება დასს მუშაობაში, და საერთოდ თეატრს.

გილოცავთ შობა-ახალ წელს. მრავალს დაესწარით!

ნანი ბრეგვაძე:
თუკი საქართველოში ვარ და საშუალება მეძლევა დავესწრო ჩვენი საბალეტო დასის სპექტაკლებს, ამას ყოველთვის სიამოვნებით ვაკეთებ. მიხარია, რომ დიდ წარმატებებს მიაღწიეთ. მშვენიერ ფორმაშია კორდებალეტი, გამოჩნდნენ ახალგაზრდა სოლისტები. იმედის მომცემი მომავალი გაქვთ,სახელმწიფო მხარდაჭერაც სახეზეა. გამარჯვებებს გისურვებთ!

გაზაფხულზე ახალი პრემიერები გველოდება

თეატრის საბალეტო დასმა დაიწყო კრეინის „ლაურენსიაზე" მუშაობა. ამ ბალეტის დადგმას ჩვენს თეატრში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ვახტანგ ჭაბუკიანის სახელთანაა დაკავშირებული. „ლაურენსია" პირველად 1939 წელს დაიდგა მარიას თეატრში და ფრონდოსოს პარტიას თავად ჭაბუკიანი ასრულებდა, ლაურენსიას კი – ნატალია დუდინსკაია ცეკვავდა. 1948 წელს ბალეტი ვ. ჭაბუკიანმა თბილისში დადგა. განუმეორებელი იყო მისი და ვერა წიგნაძის დუეტი.

„ლაურენსიის" დადგმაზე ნუკრი მაღალაშვილი მუშაობს. დამდგმელ მხატვრებად ალექსანდრე ვასილიევი და დავით მონავარდისაშვილი არიან მოწვეულნი.

საბალეტო დასი კვლავ მიუბრუნდება ბალანჩინის ქოროგრაფიას. ტოშირი მაიუძუმის „ბუგაკუს" დასადგმელად თებერვალში თბილისში ჩამოვლენ ბარტ კუკი და მარია კალეგარი. „ბუგაკუ" ბალანჩინმა „ნიუ იორკ სიტი ბალეში" 1963 წელს დადგა.

მიხეილ ლავროვსკი – 65 წლისაა!

29 ოქტომბერს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა ცნობილ მოცეკვავესა და ბალეტმაისტერს, ჩვენთვის ძალიან ახლობელ და საყვარელ პიროვნებას – მიხეილ ლავროვსკის. წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასს. გასულ სეზონზე კი აქ დადგა მამის, ლეონიდ ლავროვსკის, მიერ შექმნილი პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა", რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. მიხეილ ლავროვსკი თავად გახლდათ ვირტუოზი, განუმეორებელი შემსრულებელი. ასე შევიდა იგი მსოფლიო ბალეტის ისტორიაში. თუმცა, შემოქმედებითი სამუშაო, მას როგორც ბალეტმაისტერს, კიდევ წინა აქვს. ამჟამად ლავროვსკი სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრს ხელმძღვანელობს.

მიხეილ ლავროვსკიმ თბილისში გაატარა ბავშვობისა და სიჭაბუკის მრავალი წელი. მისი დედა – ცნობილი ბალერინა ელენე ჩიკვაიძე გახლდათ.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, მისი საბალეტო დასი და ადმინისტრაცია გულწრფელი სიყვარულით ულოცავენ მიხეილ ლავროვსკის დაბადების 65 წლისთავს. უსურვებენ ჯანმრთელობას, მხნეობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

მანანა ახმეტელი, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე:

მისასალმებელია, რომ დღეს საქართველოში არის ღირსეული საბალეტო დასი. ყოველ წარმოდგენას ჰყავს თავისი მაყურებელი და ეს ძალიან კარგია. ვისურვებდი,რომ ყოველი სპექტაკლი იყოს იმ დონის, რომ საქვეყნოდ გაუთქვას სახელი ჩვენს ქვეყანას.მაქვს სურვილიც-იქნებ უფრო მეტად ვიფიქროთ ეროვნულ საბალეტო ტრადიციებზე, ქართულ რეპერტუარზე.

გოგი ალექსიძე – 65 წლისაა!

ცნობილ ქართველ ბალეტმაისტერს გოგი ალექსიძეს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა. მის სახელთან დაკავშირებულია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის წარმატებები 70-80-იან წლებში. საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობის დროს მან სრულიად ახალი ესთეტიკა მოიტანა თეატრში. დადგა ნეოკლასიკური ბალეტები, თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. 90-იანი წლების გაუსაძლის პირობებში მან ყველაფერი გააკეთა საბალეტო დასის შესანარჩუნებლად. გოგი ალექსიძე ამჟამად სანკტ-პეტერბურგში მოღვაწეობს.

თეატრისა და საბალეტო დასის ხელმძღვანელობა, მსახიობები და პედაგოგები ულოცავენ ბატონ გოგის დაბადების თარიღს და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს უსურვებენ.

მაკნატუნა
პატარებისა და... დიდებისათვის!

ზამთრის გრძელ ღამეში, ფანჯრებს იქეთ, სინათლის ყვითელ შუქზე თეთრი ფანტელები როცა წრეს უვლიან; როცა ათასფრად აჭრელებული გირლანდებით იმოსება ნაძვის ხეები და პროსპექტებს ფეიერვერკების სინათლე ავსებს; როცა ჰაერში ტკბილეულის სურნელი ტრიალებს – შობა-ახალი წელი დგება.

ბალეტის სამყაროში, ასეთი სასწაული 115 წლის წინათ, 1892 წლის 6 დეკემბერს იშვა. სანკტ-პეტერბურგში პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნას" პრემიერა გაიმართა.

„მაკნატუნა" მოსწონთ როგორც ბავშვებს, ასევე დიდებს. ბავშვებს იგი ლამაზ ზღაპარს ჩუქნის, უფროსებს კი – ბავშვობის სამყაროში აბრუნებს. „მაკნატუნა" ხომ შობის ბავშვურ ოცნებებს უკავშირდება. „ჩვენთან, პეტერბურგში, გენიალური შობა თენდებოდა, – იგონებს ჯორჯ ბალანჩინი, – რა თქმა უნდა, შობა არ არის აღდგომა, რომლის დროსაც მთელი ღამე ზარებს რეკდნენ! შობა ღამე პეტერბურგში ძალიან თალხი და რაღაც უცნაური იყო... ისეთი შობა, როგორიც პეტერბურგში იყო, არსად მინახავს – არც ამერიკაში, არც საფრანგეთში. შობის პირველ ღამეს ჩემთან სახლში მხოლოდ ჩემიანები – დედა, დეიდა და ბავშვები იყვნენ. და რა თქმა უნდა, იყო ვერცხლისფერ „წვიმებში" შეფუთული ნაძვის ხე, შესანიშნავი სურნელით, ცვილის მბრწყინავი სანთლებით, ოქროს ქაღალდისაგან დამზადებული ანგელოზებითა და ვარსკვლავებით".

ანგელოზები, ვარსკვლავები, თოვლის ფიფქები, ნაძვის ხე – ყველაფერი ეს „მაკნატუნაშიც" არის და იგი საშობაო ზეიმის შემადგენელი ნაწილი იყო... მაგრამ, წლების წინ, ბავშვებმა არც კი იცოდნენ, რომ ნაძვის ხის თავზე მბრწყინავი ვარსკვლავი კრემლისა კი არა, შობის ღამის მანათობელი იყო, რომელმაც მოგვებს გზა გაუნათა ბეთლემის ბაგისაკენ, სადაც კაცობრიობას მაცხოვარი ჩვენი – იესო ქრისტე მოევლინა. მაგრამ, ეს ყველაფერი უკვე იყო და „მაკნატუნა" შობა-ახალი წლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია დღესაც. არ არსებობს მსოფლიოში თეატრი, სადაც საახალწლოდ პეტრე ჩაიკოვსკის ამ გენიალურ ბალეტს არ წარმოადგენდნენ.

ბალეტის სიუჟეტი მარტივია. მისი სცენარი თავად მარიუს პეტიპამ შექმნა, დიუმა – მამის მიერ ჰოფმანის ზღაპრის – „მაკნატუნა და თაგვების მეფე" – გადაკეთებული ვერსიის საფუძველზე. ქორეოგრაფია ლევ ივანოვს ეკუთვნოდა, თუმცა ბალანჩინი ამბობს, რომ მთელი ქორეოგრაფიული ნახაზი თავად მარიუს პეტიპამ მოიფიქრა. პე-

ტიპა-ივანოვის თანამშრომლობა რამდენიმე წლის შემდეგაც შედგა. „გედების ტბის“ ივანოვისეულ თეთრ სცენას პეტიპამ შავი გედის კონტრასტული სახე მოუძებნა. ყველასათვის გასაოცრად, „მაკნატუნას“ პრემიერას წარმატება არ მოჰყოლია – ასე იყო „გედების ტბის“ შემთხვევაშიც. დიდ თეატრში ხომ მისი პრემიერა წარუმატებელი აღმოჩნდა. „მაკნატუნა“ შემდეგში არაერთხელ დაიდგა. XX საუკუნის თითქმის ყველა დიდმა ბალეტმაისტერმა ამ ბალეტის საკუთარი ვერსია შექმნა. არსებობს ბალანჩინის, ვაიონენის, ნიმაიერის, პეტის, ნურიევის, მეთიუ ბორის... „მაკნატუნა“. ორიგინალური ვერსია შექმნა მორის ბეჟარმა, სადაც კლასიკურ „მაკნატუნას“ საკუთარი ბავშვობით შთაგონებული სცენები დაუმატა.

„მაკნატუნაში“ ერთ-ერთ თაგვს თავად ბალანჩინი ცეკვავდა; ფიფქების როლით დაიწყო კორდებალეტში საკუთარი საბალეტო კარიერა ინგლისის ბალეტის პირველმა ქალბატონმა მარგო ფონტეინმა; ოლგა ლეპეშინსკაია ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოსაშვებ კონცერტზე ფეია დრაჟეს ცეკვავდა. სრულიად ახალგაზრდამ შეასრულა მაკნატუნა – პრინცი რუდოლფ ნურიევმა...

ჩვენი თეატრის სცენაზე „მაკნატუნა“ პირველად 1900 წელს დაიდგა. ახლანდელი სპექტაკლის პრემიერა კი 1999 წლის 28 ივნისს შედგა. „მაკნატუნას“ ამ ვერსიის ავტორი ცნობილი რუსი ბალეტმაისტერი იური გრიგოროვიჩია. სპექტაკლი თბილისში ცნობილი თეატრალური მხატვრის სოლომონ ვირსალაძის დაბადებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა. ეს ვერსია გრიგოროვიჩმა დიდ თეატრში დადგა და დღესაც წარმატებით მიმდინარეობს. მხატვრობა სოლომონ ვირსალაძეს ეკუთვნის. ყოველ ახალ წელს ათასობით ბავშვის გულს ახარებს მისი გაანუმეორებელი დეკორაცია და ფერადოვანი კოსტიუმები; ნაძვის ხის ირგვლივ ცეკვავენ მარის მეგობრები, ესპანური, ჩინური, ფრანგული, ინდური, რუსული მხიარული თოჯინები. თაგვების მეფისა და მანკატუნა-პრინცის შერკინების შემდეგ, ჯადოსნურ სამყაროში, იმართება მეჯლისი, სადაც ულამაზეს ვალსს ცეკვავენ თოვლის ფიფქები.

ბოლო ორი წელია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი „მაკნატუნაზე“ დასასწრებად იწვევს მზრუნველობამოკლებულ, უნარშეზღუდულ, დევნილ და ინვალიდ ბავშვებს. თეატრში ულამაზეს სანახაობასთან ერთად, მათ საჩუქრები ხვდებათ. მაგრამ, ყველაზე დიდი საჩუქარი თავად ბალეტია – საახალწლო დღეებში, პატარების გულის გასახარად, მთელი დასი საგანგებოდ ემზადება. „მაკნატუნაში“, ჩვენი თეატრის სცენაზე, ბალეტის ბევრი ვარსკვლავი გამოსულა. 2005 წლის დადგმა მარის პარტიის შესრულებით მიულოცა ჩვენს ქვეყანას ნინო ანანიაშვილმა. ასეთი სიხარული წინ ბევრი გველის. ზამთარი უკვე დადგა, მალე, ფანჯრებს იქეთ, სინათლის ყვითელ შუქზე თეთრი ფანტელები საცეკვაო მეჯლისს გამართავენ; ათასფერი გირლანდებით შეიმოსება ნაძვის ხეები და პროსპექტებს ფეიერვერკები გაანათებს; შობა-ახალი წელი დგება. ე.ი. „მაკნატუნას“ დროც მოსულა. მას ყველა რედაქციაში სხვადასხვა ფინალი აქვს. ჩვენი თეატრის სპექტაკლი ოდნავ სევდიანია. დილით გაღვიძებული მარი ხვდება, რომ მაკნატუნა-პრინცთან გატარებული საშობაო საღამო სიზმარი ყოფილა მხოლოდ, სინამდვილე კი ასეთია – მისი ოთახი, სათამაშოები, ხის მაკნატუნა და ის, რომ ცხოვრებაში ერთი წელი ემატება. ცხოვრებაშიც ხომ ასეა. „მაკნატუნა“ მომავალ ახალ წელსაც იქნება, იმის შემდეგაც... იგი პატარებსაც უყვართ და... დიდებსაც.

ბურნონვილის რომანტიკა

თბილისში

პა-დე ტრუა ბალეტიდან „კონსერვატორია“:
ანა მურადელი, დავით ხოზაშვილი, ეკა ჩუბინიძე

ჟოკეების ცეკვა ბალეტიდან „ციმბირიდან მოსკოვამდე“:
ვიქტორია კიკაბიძე და შორენა ხაინდრავა

პა-დე დე ბალეტიდან „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“: ცისია ჩოლოყაშვილი, ლაშა ხოზაშვილი

ცნობილი დანიელი დრამატურგი კელ აბელი, გასული საუკუნის დასაწყისში, აუგუსტ ბურნონვილის შესახებ წერდა: „ყველაზე გასაკვირი ბურნონვილთან არის ის, რომ ის დღესაც, ძველებურად, ისეთივე კარგია, რომ შეუძლებელია ამაზე უკეთესი რამ წარმოიდგინო“. თითქმის საუკუნე გავიდა ამ სიტყვების დაწერიდან, მაგრამ მისი ქორეოგრაფია დღესაც ცოცხლობს. თბილისელი მაყურებელი ბურნონვილს კარგად იცნობს, ცნობილი ბალეტის, „სილფიდას“ მიხედვით, რომელიც ჩვენი თეატრის რეპერტუარში იყო. მაგრამ, „კონსერვატორიის“ დადგმა იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მასზე დასთან უშუალოდ დანიის სამეფო თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა ფრენკ ანდერსენმა და ბალეტის რეპეტიტორმა ევა კლობორგმა იმუშავეს, ანუ იმ ადამიანებმა, ვინც დღეს ზრუნავენ ბურნონვილის მემკვიდრეობაზე.

„კონსერვატორია“ ბურნონვილმა პარიზის სამეფო აკადემიის ცეკვის კლასში სწავლის დროს მიღებული შთაბეჭდილებებით შექმნა. ოგიუსტ ვესტრისის მოსწავლემ, ბურნონვილმა, რომელიც თავის მხრივ ნოვერის ტრადიციებს აგრძელებდა, საშუალება მოგვცა, წარმოდგენა გვქონოდა XVIII საუკუნის ფრანგული კლასიკური სკოლის შესახებ. ამ ბალეტს ქვესათაურიც ჰქონდა – „საქორწინო გარიგება გაზეთის მიხედვით“. მაგრამ იგი მხოლოდ უბრალო მითითებაა ბალეტის სიუჟეტზე: კონსერვატორიის ინსპექტორმა დიუფურმა, ხანდაზმულმა კაცმა, გაზეთში საქორწინო განცხადება გამოაქვეყნა. ახალგაზრდები კონსერვატორიაში დასცინიან, ამასხარავებენ მას. ბალეტიდან მხოლოდ სათაური და ერთი ნაწილია გადარჩენილი. თუმცა, 2005 წელს დანიაში სცადეს მისი სრული ვერსიის აღდგენა.

„ცეკვის სკოლა“, ჩვენამდე მოღწეული ბალეტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც კარგა ხანია წარმოადგენენ, როგორც ცალკე ბალეტი.

ბალეტი იმ დროს იწყება, როცა მოსწავლეები ოთახში, ძელთან ვარჯიშობენ. ტიულის შავი ფარდა ზევით რომ აიწევა, ჩვენ წინ ბაროკოს სტილის ფერწერული ტილოებით მოხატული საბალეტო დარბაზი ჩნდება (მხატვარი დავით მონავარდისაშვილი), რომელსაც ორგანულად ერწყმის თეთრ კაბებში ჩაცმული გოგონების კორდებალეტი. ეს მართლაც ლამაზი სანახავია. ისინი მართლაც ჰგვანან იმ ბალერინებს, როგორსაც დეგა ხატავდა. 1933 წელს ხომ ლანდერმა სწორედ დეგას კოსტიუმების კოპირება მოახდინა ამ ბალეტისათვის. ყოველდღიური სავარჯიშო გაკვეთილის ელემენტებისაგან შემდგარი „ცეკვის სკოლა“ grand plie-დან იწყება და ყოველნაირი ნახტომებით, ფინალში, მთელი ანსამბლის ერთდროული attitud-ებით სრულდება.

კორდებალეტის პირველ მოძრაობებს ცვლის ბავშვების პირველი ცეკვა, რომელსაც ვ. ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეები ასრულებენ. ბურნონვილის ქორეოგრაფიისათვის ეს დამახასიათებელი მომენტია. მის ბალეტში ყველა თაობა ცეკვავს (ბავშვებიდან ასაკოვან მოცეკვავეებამდე). წლების შემდეგ მათ დასის მოცეკვავეთა ადგილები უნდა დაიკავონ. ამიტომ, ისინი გვინდა სათითაოდ დავასახელოთ, რადგან სასიამოვნოდ გაახსენდეთ დიდ სცენაზე გამოსვლა: ნ. ჩეკურაშვილი, მ. ელოშვილი, გ. ლაზარაშვილი, გ. კახელი, მ. კაკალიშვილი, გ. დარჩიაშვილი, მ. ოდიაშვილი, ს. მაცაკი.

ბავშვების ვარიაციის შემდეგ თანმიმდევრობით სრულდება ოთხი მამაკაცი მოცეკვავის ნახტომები, გოგონების სამეულთა ვარიაციები, რომელსაც მამაკაცი შემსრულებლის სოლო ვარიაცია მოსდევს; „ცეკვის სკოლაში“ ჩართულია ბურნონვილის პა-დე-ტრუა, რომელიც

თავისთავად „კონსერვატორიის“ შემადგენელი ნაწილი იყო. „პა-დე-ტრუას“ ორ სოლისტ გოგონასთან ერთად ასრულებს ბალეტის მასწავლებელი, რომელიც „ცეკვის სკოლის“ მთავარი მოქმედი პირია.

ბურნონვილის ქორეოგრაფია შესასრულებლად ადვილი არაა. შეიძლება აითვისო ფეხის მოძრაობები, მაგრამ უფრო რთულია მისი კოორდინირება ხელებისა და კორპუსის მოძრაობასთან, რითაც ის ძალიან განსხვავდება რუსული კლასიკური საბალეტო სკოლის მოძრაობებისაგან. მაგრამ, დასის დაძაბულმა მუშაობამ შედეგი გამოიღო.

ბალეტმაისტერის ვარიაცია რთულია მაღალი ნახტომებითა და მოძრაობებით. დავით ხოზაშვილის შესრულება ბურნონვილის სტილთან ორგანულად იყო შერწყმული. ყველა კომბინაცია, ნახტომები ჰაერში თავისუფალი და ენერგიული გამოდგა. ამასთან, აქტიორულად დამაჯერებელი ჩანდა მასწავლებლის ჟესტების მისეული გამომსახველობა.

სოლო პარტიები პრემიერაზე ანა მურადელმა და ეკა ჩუბინიძემ შეასრულეს. ანა მურადელი მშვენიერი ფაქტურის მოცეკვავეა. მან კარგად აითვისა ამ ქორეოგრაფიის სირთულეები. აღსანიშნავია, რომ კორდებალეტის ახალგაზრდა მოცეკვავეს ეკა ჩუბინიძეს პა-დე-ტრუაში ერთ-ერთი პარტიის შესრულება ხვდა წილად, რასაც მან კარგად გაართვა თავი.

ტექნიკურად სუფთა მოძრაობებით გამოირჩეოდა ლალი კანდელაკი, რომელიც სოლო პარტიას „კონსერვატორიის“ მეორე შემადგენლობაში ცეკვავს. ნინო გოგუას შესრულებას თავდაჯერებულობა ახასიათებდა, რომელშიც ჩანს, რომ მას შეუძლია სცენაზე ფლობდეს საკუთარ თავს. ბალეტის მასწავლებლის ვარიაცია ირაკლი ბახტაძის მიერ კარგად იქნა დაძლეული — ყველა ტექნიკური სირთულე, რომელიც დაკავშირებული იყო ნახტომებთან, მოწოდებული იქნა სუფთად და ენერგიულად.

რაც შეეხება მთლიანად კორდებალეტს, ვარიაციებში გამოირჩეოდნენ არტურ ივანოვი, გაგა გოგუა, ევგენი გერასიმენკო, ეკა შავლიაშვილი, ალისა ბოგდანოვა...

„კონსერვატორიის“ დასრულების შემდეგ კიდევ ორი ნომერი შესრულდა ბურნონვილის ქორეოგრაფიიდან. „ჟოკეების ცეკვა“ ბალეტიდან „ციმბირიდან მოსკოვამდე“ (მუსიკა ს. მილერისა), ერთადერთი ნომერია, რაც დღემდე შემორჩა. ბურნონვილის მკვლევართა აზრით, ქორეოგრაფი საკუთარ დადგმებში ხშირად იყენებდა სახასიათო ცეკვებს. განსაკუთრებით ამ ბალეტში, რადგან სანკტ-პეტერბურგის ბალეტისათვის სახასიათო ცეკვები იყო დამახასიათებელი. ასეთი ცეკვის ნიმუშია „ჟოკეების ცეკვა“. ჟოკეებისათვის დამახასიათებელ კოსტიუმებში, კეპიანი ქუდებითა და ჯოხებით სცენაზე ლამაზად შემორბიან ჟოკეები. ვიკა კაკაბაძემ და შორენა ხაინდრავამ ენერგიულად იცეკვეს და ერთგვარი შეჯიბრი გამართეს სცენაზე.

ბურნონვილის ქორეოგრაფიის წარმოდგენა დაასრულა პა-დე-დემ ბალეტიდან „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში” (მუსიკა ე. პელსტედისა და ჰ. პაულისა). პა-დე-დე ბურნონვილის ქორეოგრაფიულ შედევრად ითვლება. Entre-ში მაყურებელი ეცნობა მის გმირებს, რომელთაც სცენაზე შემოაქვთ ახალგაზრდობის, სიცოცხლისა და სილამაზის განწყობა. ამას ხელს უწყობს საოცრად ლამაზი კოსტიუმები, რომლის ფერადოვნება მუსიკისა და ქორეოგრაფიის ენასთან ორგანულადაა შერწყმული. სოლისტები (ცისია ჩოლოყაშვილი, ლაშა ხოზაშვილი) დემონსტრაციულად უსვამენ ხაზს თავიანთ ხასიათს; კავალერი მამაკაცი გოგონას ცეკვას სთავაზობს. სოლისტი გოგოს პირველივე ვარიაციაში ხაზგასმულია ბურნონვილის სტილის სირთულე — მაყურებლის ყურადღება მიაქციოს ხაზების სილამაზეს, პატარა რთული მოძრაობების შესრულებისას ჩქარ ტემპში ამოძრაოს ხელები; ლაშა ხოზაშვილი ვარიაციის შესრულებას აუჩქარებლად შეუდგა. მსუბუქი და მაღალი ნახტომებით მან სცენა დიაგონალზე გადაკვეთა; მათი ცეკვა შეჯიბრის ასოციაციას იწვევს. ვარიაციებისას ხომ მუსიკალური თემაც მეორდება. ეს პა-დე-დე იცეკვეს მარიამ ალექსიძემ და ევგენი გერასიმენკომ, რომელთა შესრულებას საკუთარი ხელწერა, ქორეოგრაფიული ტექსტის სწორი გააზრება და სილაღე ახასიათებდა.

ესაა სწორედ დამახასიათებელი დანიელი ქორეოგრაფის სტილისათვის – ცეკვა ხომ, მისივე სიტყვებით, არის სიხარული და ემოციური განმუხტვა.

ორი მტრედი

სცენები სპექტაკლიდან „ორი მტრედი“. ნინო გოგუა, ირაკლი ბახტაძე

პარიზის ერთ-ერთი სახლის სხვენზე, ახალგაზრდა მხატვარი ხატავს ქალის პორტრეტს, რომელიც მას უყვარს. ქალს თამაში უნდა, არ ჩერდება, ცქმუტავს. კონფლიქტი გარდაუვალია; – ასე ბანალური სასიყვარული სცენით იწყება მესაჟეს ბალეტი „ორი მტრედი“, რომელიც ინგლისელი ბალეტმაისტერის ფრედერიკ ეშტონის ერთ-ერთ შედევრადაა მიჩნეული. ბალეტი 1886 წელს Opera de Paris სცენაზე ლუი მერატმა დადგა. ბალეტის სათაური და სიუჟეტი ლაფონეტის იგავიდანაა აღებული. ეშტონმა ქორეოგრაფიას მოქმედების ადგილი შეუცვალა, ბოჰემურ გარემოში გადაიტანა და მუსიკის გაორკესტრება ჯონ ლანჩბერს მიანდო.

„ორი მტრედი“ მართლაც ლამაზი ბალეტია. ეს შეიძლება იყოს მისი მოკლე შეფასება. ყველაზე მთავარი, რაც მასში გხიბლავს მთავარ გმირთა გულწრფელობაა. ეშტონი ხასიათების გამოკვეთის ოსტატია, აქაც ასეა. ყველა გმირი ცხოვრებისეულია, ინდივიდუალური და ლაღი. მათ შესრულებას მთელი ბალეტის მანძილზე თან სდევს იუმორი. მაგრამ ეს არ არის კომედია, ან კომიკური ისტორია. იუმორი მხოლოდ ჰუმანური განწყობისთვისაა შემოტანილი.

ახალგაზრდა გოგონა თავის მოძრაობებში მტრედს განასახიერებს. მისი პარტია პირველ მოქმედებაში საკმაოდ რთულია, თითქმის არასდროს გადის სცენიდან. ნინო გოგუას ახალგაზრდა ქალი მოხდენილი და მხიარულია. მოცეკვავემ იმპროვიზაციებით მდიდარი პარტია იცეკვა, პატარ-პატარა სახასიათო მოძრაობები კარგად მოარგო მის შინაგან ბუნებას. ბახტაძის მხატვარი ინტელექტუალური გმირია. მისი შესრულების მანერა ლირიულია, მოძრაობები – დახვეწილი, ნახტომი – ენერგიული. ამ პარტიაში კარგად წარმოჩნდა იმპროვიზაციის მისეული შესაძლებლობები.

ახალგაზრდა გოგოსა და ბიჭის პაექრობისას ქუჩაში გამოჩენილ მკითხავ ბოშებს სხვენზე მოიწვევენ. ბოშა ქალის მხურვალება და ეგზოტიკა შემოიტანა სცენაზე ლალი კანდელაკმა. მოცეკვავემ სახასიათო ცეკვის კლასი აჩვენა. მისი თითოეული ვარიაცია, ნახტომი საოცარ კმაყოფილებას იწვევდა.

ნინო გოგუას გმირი ცდილობდა, თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა მხატვრის წინაშე. ბოშა გოგოს სახით ის თავის მეტოქეს ხედავს და ებრძვის მას. „პაექრობის“ სცენა ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია ამ ბალეტში.

ასეთი სცენები „ორ მტრედში“ ბევრია. იგივეს თქმა შეიძლება მეორე მოქმედების პა-დე-ტრუას შესახებ, სადაც ლალი კანდელაკის, ირაკლი ბახტაძისა და დავით ხოზაშვილის სამეული შესანიშნავ ფორმაში წარმოგვიდგა. დავით ხოზაშვილი ბალეტში ბოშათა ბანაკის მეთაურის პარტიას ცეკვავს. მისი გმირი ხასიათის მასშტაბურობითა და იმპროვიზაციით გამოირჩევა.

მეორე მოქმედების ძირითადი სცენები კორდებალეტის მონაწილეობით სრულდება. მათი სახასიათო ცეკვები, ბალეტში დეივერტისმენტის სახითაა წარმოდგენილი. ერთმანეთს ენაცვლება ბოშა გოგონების ცეკვა, ახალგაზრდა ბოშა ბიჭის (გაგა გოგუა) ვარიაცია, „ჩარდაში“, გოგონების ოთხეულების ცეკვა, რომელშიც ჩართულია სოლისტების ვარიაციები. კორდებალეტის შესრულება დახვეწილი, ფაქიზი მოძრაობებით აღინიშნა; მოცეკვავეთა დიდმა ნაწილმა შეძლო სახასიათო ცეკვების ოსტატურად შესრულება.

ბოშათა ბანაკიდან გამოძევებულ მხატვარს ახალგაზრდა გოგონასაკენ დაბრუნდებას მოულოდნელად გამოჩენილი მტრედი გადააწყვეტინებს. სწორედ ამ ფინალური სცენით სრულდება ბალეტი. ახალგაზრდა გოგოსა და ბიჭის adagio ეშტონის ქორეოგრაფიულ შედევრადაა მიჩნეული, რომლის მთავარი ხაზი მიმნდობი გოგოს პატიება და მხატვრის თავდავიწყებული ცეკვაა მასთან.

„ორი მტრედი“ პრემიერაზე მეორე შემადგენლობამაც იცეკვა. განსხვავებული ხელწერა ჰქონდა ახალგაზრდა გოგონას პარტიაში ანა მურადელს. მისი გმირი თითქოს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან შემოსულიყო სცენაზე, რომელსაც გაბრაზებაც კი არ შეეძლო ისე მკვეთრად, რომ დაეჯაბნა მეტოქედ გამოჩენილი ბოშა ქალი – ამჯერად ამ პარტიას მარიამ ალექსიძე ცეკვავდა, მხრების ლამაზი მიმოხვრითა და შინაგანი ხიბლით. ასაკით უფრო ახალგაზრდა კაცის ემოციებს გადმოსცემდა მხატვრის პარტიაში ლაშა ხოზაშვილი. იგი გრძნობს, რომ რისკიან ნაბიჯს დგამს, როცა ბოშათა ბანაკისკენ მიმავალ გზას დაადგება. მაგრამ გხიბლავს მისი გულწრფელობა. პირველი მოქმედების ფინალში კიბეზე მიმავალი უკან იხედება; ალბათ დაბრუნებაზეც ფიქრობს, მაგრამ გოგონა და მისი მეგობრები უკვე დაღლილან ცეკვით. ბიჭს კი გულისთქმა ბოშებისკენ ეძახის. აქ დაცლილია ემოცია, იქ კი – სიცოცხლის ხალისია. ამ სცენის ასეთი გააზრება მნიშვნელოვანია ფინალური სცენისათვის, სადაც მხატვარი ისევ იმ კიბით ბრუნდება, უკვე მტერდით ხელში. ასე უბრუნდება იგი მიტოვებულ სიყვარულს.

თითქოს, ეშტონის ქორეოგრაფია ადვილია შესასრულებლად (კლასიკურ ბალეტებთან შედარებით), მაგრამ ბალეტის სირთულე მარტო ცეკვაში არაა, შემსრულებელს უნდა შეეძლოს იმპროვიზაციის, გამომსახველობითი საშუალებების მოძიება, რაც როგორც სოლისტებმა, ასევე კორდებალეტმა მოახერხეს კიდეც.

წარმატება, რომელსაც დასმა მიაღწია ეშტონის „ორი მტრედის“ საპრემიერო სპექტაკლებზე, მოცეკვავეებთან ერთად, თანაბრად ეკუთვნით დამდგმელ მხატვრებს ალექსანდრე ვასილიევს, დავით მონავარდისაშვილსა და ნათია სირბილაძეს. და რა თქმა უნდა, დენის ბონერსა და მარგარეტ ბარბიერს, ეშტონის ყოფილ მოსწავლეებს, რომლებიც ინგლისიდან სპეციალურად ჩამოვიდნენ ამ ბალეტის დასადგმელად, და წარსულში თავად ცეკვავდნენ ეშტონთან.

რაც შეეხება ორ მტრედს, ისინი რეპეტიციებისა და სპექტაკლების დროსაც მშვენივრად იქცეოდნენ. მერე რა, თუ ფინალში ყოველთვის, ორივე ერთად არ ჩამოჯდა სავარძლის საზურგეზე. ისინი ხომ სიყვარულს განასახიერებენ. სიყვარულიც ხომ ზოგჯერ ჯიუტია.

ანა მურადელი, მარიამ ალექსიძე და ლაშა ხოზაშვილი

ირაკლი ბახტაძე, ლალი კანდელაკი, დავით ხოზაშვილი

მზეჭაბუკი

პირველი ქართული ბალეტის შექმნის 70 წელი

1936 წლის 27 დეკემბერს თბილისის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში პირველი ქართული ბალეტის პრემიერა გაიმართა. ანდრია ბალანჩივაძის ბალეტს თავდაპირველად „მზეჭაბუკი“ ერქვა. მისი დადგმა ვახტანგ ჭაბუკიანმა განახორციელა (ლიბრეტო გიორგი ლეონიძის, მხატვრობა სულიკო ვირსალაძის, დირიჟორი ევგენი მიქელაძე). წელს პირველი ქართული ბალეტის დაბადებიდან 70 წელია.

უკვე სახელგანთქმულმა ცეკვის ჯადოქარმა – ჭაბუკიანმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ნაციონალურ ბალლეტს და სცენაზე ეროვნული პრობლემატიკა შემოიტანა.

ამ ბალეტის შექმნა მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის გამო გადაწყდა. ჭაბუკიანი ლავრენტი ბერიასთან გამოიძახეს და დეკადისათვის სპექტაკლის დადგმა დაავალეს. ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა, მაგრამ თეატრში ინტრიგებს რა გამოლევს. ბალეტიდან ამოიღეს ბევრი სცენა. შეურაცხყოფილმა ჭაბუკიანმა უარი თქვა გამგზავრებაზე, რის გამოც ისევ ბერიასთან მოუხდა საუბარი. წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი გამგზავრებაზე დათანხმდა. მოსკოვში საახალწლო დღეები იდგა. დიდ თეატრში „აბესალომ და ეთერის“, „დაისის“, „დარეჯან ცბიერისა“ და „ქეთო და კოტეს“ გვერდით „მზეჭაბუკიდან“ გადარჩენილი „ხორუმი“ წარმოადგინეს.

გაზეთი „იზვესტია“ წერდა: „ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ღრმაშინაარსიანმა ბალეტმა, რომელიც დადგა მშვენიერმა მოცეკვავემ ვ. ჭაბუკიანმა. ამ ცეკვამ ცხადყო, თუ რა სიმაღლეზე შეუძლია ნიჭიერ ოსტატს, აიყვანოს პოპულარული ხალხური ცეკვა, ახალი სახე მისცეს მას და შეურწყას შესანიშნავ მუსიკას, რაც ბალეტ „მზეჭაბუკისათვის“ კომპოზიტორმა ა. ბალანჩივაძემ შექმნა (ევგ. მიქელაძის დირიჟორობით მუსიკამ მშვენივრად და ბრწყინვალედ მიაღწია მსმენელებამდე)“.

1938 წლის 28 ივნისს ჭაბუკიანმა ბალეტი სანკტ-პეტერბურგის მარიას (მაშინდელი კიროვის) თეატრში დადგა, სადაც მას პარტნიორობას უწევდა ტატიანა ვეჩესლოვა. ბალეტს „მთების გული“ უწოდეს. მისი განმეორებითი პრემიერა თბილისში 1941 წლის 22 სექტემბერს გაიმართა. ჯარჯის – ჭაბუკიანი ცეკვავდა, მანიჟეს – ლილი გვარამაძე.

„მთების გული“ – ეს არის ვაჟკაცობისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხის ცეკვა. ბალეტის ერთ-ერთი შესანიშნავი სცენა იყო ხორუმი, რომელსაც ჭაბუკიანი დიდი შთაგონებით ასრულებდა. ამ ბალეტში „ჭაბუკიანი – ბალეტმაისტერი, ჭაბუკიანი – მოცეკვავის ერთგული დარჩა; ერთგული დარჩა გმირული თემისა“.

თავისი დაბადების დღეს, 27 თებერვალს, ლეგენდარული ჭაბუკიანი ყოველთვის ასრულებდა „ხორუმს“ ამ ბალეტიდან, როგორც ნიმუშს მის მიერ შექმნილი ეროვნული საბალეტო ესთეტიკისა, რომელიც შემდეგ ფორმულად ჩამოაყალიბა: „ჩემი პრინციპი უცვლელია: ქართული კლასიკური ბალეტი უნდა ემყარებოდეს ეროვნულ ძირებს, ხალხური შემოქმედების ელემენტები ორგანულად უნდა ერწყმოდეს კლასიკას; ოღონდ, აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო: აუცილებელია პრო-პორ-ციების სათანადო განაწილება და მათი მკაცრად დაცვა!“

ჯარჯი – ვახტანგ ჭაბუკიანი. „მთების გული“

ანა წერეთელი:

„ფანატიკურად მიყვარდეთ თეატრი!“

მასთან საუბარი სასიამოვნო და საინტერესო გამოდგა. ბედნიერებაა, როცა თეატრში ყოველდღიურად ხვდები ადამიანს, რომელიც ქართული ბალეტის ნამდვილი მემატიანეა. ქალბატონ ანა წერეთელს ყურადღებით უნდა მოუსმინო:

„დედაჩემი სამეჯლისო ცეკვებს ასრულებდა და მეც ბავშვობიდანვე მიტაცებდა ცეკვა. დედას ვთხოვე, ცეკვაზე ვეტარებინე. ვიყავი ძალიან მაღალი, გამხდარი, მქონდა გრძელი ფეხები და ხელის თითები. ჯავრიშვილის სტუდიაში არ მიმიღეს. მეორე სტუდია იტალიელ მოცეკვავეს მარია პერინის ჰქონდა. მივედი პერინისთან და ვთვლი, რომ არ წავაგე. სამი წელი ვისწავლე ამ არაჩვეულებრივ ადამიანთან, რომელიც გვასწავლიდა სახასიათო ცეკვებს, აკეთებდა დადგმებს. სტუდიაში სულ წინ დამაყენებდა ხოლმე და ისე მაცეკვებდა. არაჩვეულებრივი მეხსიერების წყალობით, ყოველ მოძრაობას ზუსტად ვიმეორებდი. 1939 წელს პერინი იტალიაში დაბრუნდა. მე და ჩემმა მეგობრებმა – ვივი მეტრეველმა, რუზანა არუთინოვამ... ჯავრიშვილის სტუდიაში გავაგრძელეთ სწავლა. დავით ჯავრიშვილი შესანიშნავი პედაგოგი და ქართული საცეკვაო ფოლკლორის დიდი მცოდნე გახლდათ. ის ძალიან მონესრიგებული, მკაცრი, ამავე დროს კეთილი ადამიანი იყო.. მეცადინეობები 4 საათზე გვეწყებოდა. ამდენი ბავშვი ვსწავლობდით მასთან სტუდიაში, რომელიც ოპერის თეატრთან არსებობდა, მაგრამ როცა სპექტაკლი მიმდინარეობდა, მისი ნებართვის გარეშე დარბაზში ვერავინ გაბედავდა შესვლას. ახლაც მახსოვს მისგან ნასწავლი ქართულის ყველა ჩაკვრა... ქართული ხელი... იგი გვასწავლიდა სცენის სიყვარულს. ამიტომ, ყოველგვარ სამუშაოში ვმონაწილეობდით. აქ ჩემი პედაგოგი მარინე კაზინეცი იყო, თეატრის წამყვანი ბალერინა, ძალიან კარგი ადამიანი და პროფესიონალი. განსხვავება იტალიურ და რუსულ საბალეტო სკოლებს შორის დიდი იყო, ამიტომ ბევრი რამის გადაკეთება გვიხდებოდა. მახსოვს, ერთი პატარა ჯოხი ჰქონდა, რომელსაც ხელზე მოგვადებდა და გვეტყოდა: „ასწიეთ, იდაყვი!“ მან ბევრი კარგი რამ გვასწავლა.

1940 წელს ოპერისა და ბალეტის თეატრში მიმიწვიეს. „დაისიდან“ ქართულს ვცეკვავდი ბრწყინვალე მოცეკვავეების ანტონ ჩიხლაძისა და სერგო ნონიაშვილის თანხლებით. წუწუნავას, რომელიც „დაისს“ დგამდა, მოეწონა ჩემი შესრულება და ბრძანა, – „წერეთელი მოიყვანეთ ქართულის შესასრულებლადო“. ამის გარდა, ვიცეკვე „აბესალომ და ეთერში“, „შოთა რუსთაველში“, „ლატავრაში“, „ქეთო და კოტეში“.

მაგრამ პირველი წარმატება უკავშირდება მანიჟეს პარტიაში გამოსვლას ბალანჩივაძის ბალეტში „მთების გული“. პარტნიორობას ზურაბ კიკალეიშვილი და რეზო მაღალაშვილი მიწევდნენ. ეს ის დროა, როცა ჭაბუკიანი ლენინგრადიდან დაბრუნდა და „მთების გული“ ხელახლა დადგა. მანამდეც მენახა ეს ბალეტი. ომის დროს, ერთ სპექტაკლში, ჭაბუკიანი ელენე ჩიკვაიძესთან ერთად ცეკვავდა. ეს არაჩვეულებრივი სანახაობა იყო, რომელსაც კულისებში ვიდექით და იქედან ვუყურებდით.



მირტა – ანა წერეთელი. „ჟიზელი“

ომის წლებში თბილისში ელიზავეტა გერდტი ჩამოვიდა, რომლის კლასში სრულყოფილი გავხადე ჩემი შესრულება. თავისთან ამიყვანა, მისი გაკვეთილები ძალიან მნიშვნელოვანი სკოლა იყო. რეპერტუარში ბევრი სახასიათო პარტია მქონდა. ვიცეკვე ქუჩის მოცეკვავე („დონ კიხოტი“). „მძინარე მზეთუნახავში“ ჭაბუკიანმა ფერია კარაბოსის პარტია მომცა, რომელსაც ძირითადად ვაჟები ასრულებდნენ. ვიცეკვე ზარემა („ბახჩისარაის შადრევანში“), მირტა („ჟიზელი“). ყველაზე საყვარელი და ახლობელი სწორედ მირტაა ჩემთვის. როდესაც სასცენო ლუკიდან ამოვდიოდი, დარბაზში ხმამაღალი ჩურჩული გაისმოდა: „აი, სასაფლაოს დირექტორი გამოჩნდა“.

მალე დავით ჯავრიშვილმა გამომიძახა და კატეგორიულად მომთხოვა, პედაგოგიურ მოღვაწეობას შევდგომოდი სასწავლებელში. ჩემი პირველი გამოშვება – ირინე ჯანდიერი, იამზე დოლაბერიძე, ეთერ არობელიძე, ინესა კავკასიძე – თეატრში 1959 წელს მოვიდა. ირა ჯანდიერი ჩემი გამორჩეული მოსწავლეა. 1967 წლიდან უკვე თეატრში გადმოვედი პედაგოგ-რეპეტიტორად. ეს მთლიანად ჭაბუკიანის დამსახურებაა. მერე ეგვიპტეში, კაიროს ოპერისა და ბალეტის თეატრში გამაგზავნეს სამუშაოდ. სამშობლოში რომ დავბრუნდი, გოგი ალექსიძემ, საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა, დასის გამგის თანამდებობა შემომთავაზა. ამავე დროს, მისი პირველი დადგმების – „ვარიაციები მოცარტის თემაზე”, „ანტიკური ესკიზები“, „პროკოფიევის მე-5 სიმფონია“ – წამყვანი რეპეტიტორი ვიყავი.

... მას მერე ბევრი რამ მოხდა. თეატრში შეიცვალა თაობები. მიხარია, როცა სცენაზე ჩემი მოსწავლეები ანა მურადელი და შორენა ხაინდრავა, მაია ხიდეშელი და ქეთევან აბრალავა ცეკვავენ. ახლა დასის მდგომარეობა იმედისმომცემია. ნინო ანანიაშვილმა შეძლო, რომ ორ წელიწადში ისეთი რეპერტუარი შეექმნა, რომელიც თეატრს სჭირდება. ყველა პირობა შეიქმნა მუშაობისათვის. ბალეტის ახალგაზრდა მსახიობებს მინდა ვუთხრა – ნახევარი ფეხით არ ვარგა არც რეპეტიციაზე და არც სპექტაკლზე მისვლა. ახალ თაობას, რომელიც თეატრში მოდის ფანატიკურად უნდა უყვარდეს თეატრი, ისე როგორც ჩვენ ბალეტის პირველი თაობის წარმომადგენლებს გვიყვარდა“.

ნინო მდივანაძე

„მე მგონი, ქვეყნად არ არსებობს სხვა ხელოვნება, რომელიც უფრო აახლოვებდეს ადამიანებს, როგორც ცეკვა. მისი ენა გასაგებია ყველასათვის. ცეკვით შეიძლება გამოხატო მილიონობით ადამიანის გრძნობა და აზრი, მას ცხოვრებაში შეაქვს პოეზია და სილამაზე. ადამიანებს აღელვებს და მათში კეთილშობილ მისწრაფებებს აღვივებს“, – ეს სიტყვები ქალბატონმა ლილიანამ აზიის ქვეყნებში 1965 წელს წარმატებული გასტროლების შემდეგ დაწერა. წლების გადასახედიდან, ამ აზრს უფრო მეტად ეთანხმება. მისი საცეკვაო კარიერა ხომ მართლაც პოეტური და ლამაზი გამოდგა. ბალეტი მისთვის ის სამყაროა, რომელსაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა. და ახლა, როცა საბალეტო დასის პედაგოგ-რეპეტიტორი ყოველდღიურად შედის სარეპეტიციო დარბაზში, მღელვარება და ემოცია სწორედ ისეთივე აქვს, როგორც მაშინ, 17 წლის ახალგაზრდა ბალერინას მანიჟეს პარტიას შესრულება რომ მიანდეს „მთების გულში“. მაშინ ეს არავის გაჰკვირვება, რადგან ლილიანა მითაიშვილი უკვე იყო ის ბალერინა, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ.

ლილიანა მითაიშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ირინე ჯანდიერი, რუსუდან აბაშიძე

ლილიანა მითაიშვილი

მან წარმატებით დაასრულა საბალეტო სკოლა. თავიდან ცოტათი არც მოსწონდა ეს სამყარო, მაგრამ პირველ კლასშივე მონაწილეობდა საბავშვო ბალეტში, შემდეგ დამოუკიდებელი საკონცერტო ნომერი მისცეს – შტრაუსის ვალსი.

ასე იგემა სცენის ხიბლი. მალე მის რეპერტუარში ყველა წამყვანი კლასიკური პარტია იყო. ბალეტომანებს ახსოვთ მისი პოეტურად ამაღლებული ჟიზელი, ნაზი და მეოცნებე კონკია, ხასიათის მასშტაბურობით გამორჩეული ჩელიტა, გმირული პათოსით სავსე ესპანელი ლაურენსია. სწორედ ლაურენსიას საქორწილო ვარიაცია აღინიშნა 1957 წელს, მოსკოვში, ახალგაზრდობისა და სტუდენტობის ფესტივალზე ოქროს მედლით. მალე მან ქართული ხელოვნების დეკადაზე ჯავარას პარტია იცეკვა „გორდაში“. იტალიელი ედუარდო დე ფილიპო აღფრთოვანებული წერდა: „დაუვიწყარია ცეკვის სიზუსტე და მომხიბვლელობა, მისი სიმსუბუქე და ჟესტის პლასტიკა. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ის კი არ ცეკვავს, არამედ დაფრინავს“.

ლილიანა მითაიშვილი, საბალეტო დასთან ერთად, წარმატებით გამოდიოდა ლათინური ამერიკის, აფრიკის, ევროპის ქვეყნებში და ყოველთვის ასეთი შეფასებები ჰქონდა.

1962 წელს, „ბალეტის ახალგაზრდობის დღესასწაულზე“, რიგაში ლილიანა მითაიშვილმა, ბექარ მონავარდისაშვილთან ერთად, იცეკვა პა-დე-დე „დონ კიხოტიდან“. აი, შეფასებაც: „მან ჩინებულად შეასრულა ვარიაცია „დონ კიხოტიდან“. კლასიკური ცეკვის დახვეწილი ხაზები, მისი პიროვნების განუმეორებელი რომანტიულობითაა შეფერილი – ეს ის ბალერინაა, რომელიც სულ უბრალო ყოფით მოქმედებას მუსიკალობას, სილამაზეს ანიჭებს, ხოლო ტექნიკურად დახლართულ რთულ საცეკვაო მოძრაობას – ადამიანური ჟესტის უბრალოებას და გამომსახველობას“.

განუმეორებელი იყო მისი ჟიზელი, განსაკუთრებით ვილისების სცენაში, რომლის ბუნებრიობა და გულწრფელობა სულ სხვა იერს აძლევდა გარდაცვლილი ქალწულების საუფლოში მოხვედრილ სოფლელ გოგონას.

მის შემოქმედებით წარმატებებს ქალბატონი ლილიანა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელს უკავშირებს, რომელმაც ბევრი რამ სასიკეთო შესძინა პროფესიული დაოსტატების გზაზე. იგი ბენდიერად მიიჩნევს თავს, რომ ჭაბუკიანს პარტნიორობას უწევდა „ოტელოში“.

მოსაგონარი ბევრი აქვს ქალბატონ ლილიანას. მის თვალწინ ხომ ქართული ბალეტის ისტორიის საინტერესო პერიოდმა გაიარა. საოცრად თავმდაბალსა და მორიდებულ ქალბატონს არ უყვარს ბევრი საუბარი. ეს მისი სამყაროა, მისი ცხოვრება, რომელიც მასთან ერთადაა. ჩვენი წერილიც ადრე გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა და იმ ადამიანების მონათხრობის საფუძველზე ავაგეთ, რომელთაც სცენაზე უნახავთ ლილიანა მითაიშვილი. „რა საოცარი სიმსუბუქეა, ჰაეროვანი ნახტომი, რა დიდი ხელოვნებაა ტრაგიკული ემოციების გადმოცემაში“, – წერდნენ მასზე. დღეს კოლეგებთან და ახალგაზრდა მოცეკვავეებთან ერთად იგი ცდილობს ქართული ბალეტის სახე, იმიჯი, განწყობა ამაღლებული გახადოს. თეატრი – ეს ის ადგილია, სადაც მარტო მოგონებებით არ ცხოვრობენ. თეატრი – ბობოქარი სამყაროა; ამ სამყაროში ლილიანა მითაიშვილი თავს კარგად გრძნობს.

სპექტაკლისწინა სამზადისი მას ყოველთვის მოსწონდა. ფარდის ჭუჭრუტანიდან ადევნებდა თვალს დარბაზში შემოსულ მაყურებელს. დღესაც უყვარს ის ხმა, სპექტაკლის წინ საორკესტრო ორმოდან რომ ისმის. ამ დროს იგი კორდებალეტის მოცეკვავეების მზადყოფნას ამოწმებს. პედაგოგ-რეპეტიტორი სპექტაკლს განათების ჯიხურიდან ადევნებს ხოლმე თვალს. ეს ახლა. მანამდე კი იგი თავად ცეკვავდა ამ სცენაზე:

მარინა ალექსიძე

მარინა გოდერძიშვილი-ალექსიძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, როგორც მოცეკვავე, 1967 წელს მოვიდა. კორდებალეტში სულ ერთი წელი იცეკვა და შემდეგ წლების განმავლობაში თეატრის წამყვანი სოლისტი გახლდათ. მას ჰქონდა ბედნიერება ჯერ ქორეოგრაფიულ სტუდიაში, შემდეგ კი – სასწავლებელში თამარ ვიხოდცევასთან ესწავლა. ეს უკვე იყო დიდი გამოცდილება, რამაც საშუალება მისცა სრულიად პატარას, რთული საბალეტო პარტიები შეესრულებინა. მესამე კლასში „შოპენიანაში“ ერთ-ერთი სოლო პარტია იცეკვა, პირველ კურსზე – „გედების ტბის“ მეორე მოქმედება, მეორე კურსზე კი – მესამე მოქმედება, ოდეტას პარტია. ყველა წამყვანი პარტია ვერა წიგნაძესთან მოამზადა, მუშაობდა ვახტანგ ჭაბუკიანთან. თითქმის ყველა კლასიკურ პარტიას ცეკვავდა. 1962 წელს ბალანჩინი და „ნიუ იორკ სითი ბალე“ პირველად ჩამოვიდა თბილისში. მის წინ სულ სხვა სამყარო გადაიშალა – „სერენადის“ დროს რომ ფარდა გაიხსნა, გაოცებული შესცქეროდნენ ამ სილამაზეს... მაშინ ქალბატონ მარინას ძნელად წარმოედგინა, უფრო ზუსტად, არც უფიქრია, თუ 80-იან წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე „სერენადას“ დადგმაში მიიღებდა მონაწილეობას და მერე ბევრი თეატრის სცენაზე მოუხდებოდა ამ სასიამოვნო მისიის შესრულება.

შემოქმედისთვის დიდი სიხარული მოაქვს მუშაობის პროცესს. თუ ამას მაყურებლის მოწონება და ტაში მოჰყვება, მიზანი მიღწეულია. ასეთი ოვაცია სცენაზე, 25 წლის მოღვაწეობის განმავლობაში, მარინა გოდერძიშვილს არაერთხელ ჰქონია.

1972 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დიდი ცვლილებები მოხდა. საბალეტო დასში ახალი სტილი, ახალი ინტონაცია მოიტანა გოგი ალექსიძემ. ეს სულ სხვა რამ იყო – მუსიკის სხვანაირი აღქმა, უსიუჟეტო ბალეტები, განსხვავებული ტემპი, ხასიათი, ლექსიკა. დაიდგა ბევრი ქართველი კომპოზიტორის ბალეტი... „საშინელი წინააღმდეგობა შეხვდა ამ ესთეტიკას. ძნელად მიიღეს ალექსიძე, არა მარტო როგორც ბალეტმაისტერი, არამედ როგორც პიროვნება. მე დიდ პატივს ვცემდი ბატონ ვახტანგს, მაგრამ იმ ჯგუფში მოვხვდი, რომელსაც ეს სიახლე აინტერესებდა. ვფიქრობდი მაშინაც და ახლაც, კლასიკის გვერდით თანამედროვე ქორეოგრაფია უნდა არსებობდეს“. ამ წლებში შეიქმნა ბალეტები კვერნაძის, ნასიძის, ცინცაძის, გაბიჩვაძის მუსიკაზე, დაიდგა პროკოფიევის კლასიკური სიმფონია, ბახის „ჩაკონა“... მარინა გოდერძიშვილი ამ ბალეტებში წამყვან პარტიებს ასრულებდა, ალექსიძის სიახლეებისათვის მზად აღმოჩნდა და მეგობრობა დიდ სიყვარულში გადაიზარდა. გოგი ალექსიძის თეატრში მოღვაწეობის მეორე პერიოდში, მეუღლე უკვე საბალეტო დასის გამგე გახდა და მასთან ერთად მუშაობდა ახალ საბალეტო დადგმებზე, პროექტებზე, რომლებიც საზღვარგარეთ გაიტანეს (ევროპის ქვეყნებში, იაპონიაში, ჩინეთში) და წარმატებაც მოიპოვეს:

„იყო დასის გამგე, არც ისე ადვილია. თითოეული მსახიობის ხასითი უნდა გაითვალისწინო, ხელი შეუწყო, თეატრის ინტერესებიც არ უნდა გადადო უკან. გახსოვთ, რა დრო იყო? ქვეყანაში დიდი არეულობაა. თეატრი არ თბება, არ არის ანაზღაურება. მაგრამ არ გავჩერებულვართ. სამი თვე რომ სპექტაკლები არ იმართებოდა, ჩვენ, პალტოებში ჩაცმულები, რეპეტიციებს ვატარებდით, სპექტაკლების აღდგენაზე ვმუშაობდით.

ახლა ქვეყანაში დიდი ცვლილებები მოხდა. იგი კულტურასაც შეეხო და თეატრსაც. ადამიანებს საშუალება მიეცათ იმუშაონ. გაუმჯობესებული ანაზღაურება საშუალებას იძლევა თავს უფლება არ მისცე გააცდინო სპექტაკლი, რეპეტიცია. მოთხოვნაც შეიძლება. მუშაობა ყოველდღიურია, ყველა ნიუანსს ექცევა ყურადღება. ქალბატონი ნინო მომთხოვნია, როგორც საკუთარი თავის, ასევე ყველას მიმართ. დასისგანაც ამასვე მოითხოვს. მეც ამ კოლექტივის შემადგენელი ნაწილი ვარ და ვფიქრობ, მუშაობა გამოგვდის. ბევრი ახალი სპექტაკლი გვაქვს, დაიდგა ბალანჩინი, ბურნონვილი, ეშტონი... ამათ გვერდით, ალბათ, მოვიდა დრო, უშუალოდ დასისთვის შეიქმნას ბალეტები, მეტი ექსპერიმენტი განხორციელდეს, თანამედროვე ქორეოგრაფია უფრო ფართოდ იქნეს წარმოდგენილი, რა თქმა უნდა, კლასიკის გვერდით“.

ახლა ქალბატონი მარინა კორდებალეტის პედაგოგ-რეპეტიტორია. ყოველდღიურად უხდება მათი ხაზების სისწორის, შესრულების თავისუფლების, ჟესტებისა და პლასტიკის დახვეწაზე მუშაობა. შედეგებს უკეთესს ისურვებდა.

სცენაზე, რეპეტიციისას თუ დარბაზში, ძელთან, ექსერსისის დროს უმალ შეამჩნევთ მარინა ალექსიძის მომთხოვნ მზერას, კორექტულ შენიშვნასა და რჩევას. მომთხოვნი იგი საკუთარი ქალიშვილის მიმართაც არის – მარიამი დასის წამყვანი სოლისტია. ოჯახში უნდოდათ, ბალეტს მისი და – ირინე გაჰყოლოდა, ცნობილი ირა ალექსიძის სახელის გამგრძელებლად. მაგრამ ირინე ხელოვნებათმცოდნეა. მარიამმა კი თავისი გაიტანა და ბალერინა გახდა. დედა და ბევრ პარტიაში მისი რეპეტიტორი მისით უკმაყოფილო არ არის.

მედეა – მარინა ალექსიძე.
რ. გაბიჩვაძის „მედეა“
(გოგი ალექსიძის ქორეოგრაფია)

სამყარო
ფარდის მიღმა

შვიდს რომ რამდენიმე წუთი დააკლდება, დარბაზში შუქი თანდათან იკლებს. საორკესტრო ორმოში წყდება ინსტრუმენტების ხმა. დირიჟორი თავის ადგილს იკავებს და დარბაზს ესალმება. მალე ორკესტრი უვერტიურის შესრულებას დაიწყებს. თეატრის მძიმე ფარდა ნელ-ნელა ზევით აიწევს, სცენა განათდება და მაყურებლის წინაშე ლამაზი სამყარო გადაიშლება...

ასეა ყოველი სპექტაკლის წინ. მაგრამ რა ხდება ამ დროს კულისებში? იქ ხომ დაძაბული სამუშაო მიმდინარეობს. ახლა კულისებში შევიხედოთ და ვნახოთ, როგორ იღებს სპექტაკლი საბოლოო სახეს. შესვლა აკრძალულია! ამ სამყაროს მაყურებელი არ იცნობს; და როცა სცენაზე გასასვლელ კარს ამ წერილის მოსამზადებლად გადავაბიჯეთ, სულ სხვანაირად დავინახეთ ის, რაც დარბაზიდან არასოდეს ჩანს...

მას შემდეგ, რაც დამდგმელი მხატვარი დეკორაციების შექმნას დაასრულებს, სცენის მემანქანეთა სამსახურს ისინი სცენაზე გადმოაქვს, და მათთვის განკუთვნილ ადგილებს მიუჩენს. ჩვენი სცენა 24 მეტრის სიმაღლისაა, აქვს ხუთ-ხუთი კულისი მარჯვნივ და მარცხნივ და შესაბამისი პულტები, რომლის მეშვეობით სპექტაკლის მსვლელობისას დეკორაციებს ცვლიან. ეს მეტად რთული სამუშაოა, რომელსაც სიზუსტე და ოპერატიულობა სჭირდება. არის სპექტაკლები, რომლებშიც დეკორაციები ყოველ 5-7 წუთში ერთხელ იცვლება, შესაბამისად იცვლება განათება; სპექტაკლის დროს ამ პროცესს წამყვანი რეჟისორი ხელმძღვანელობს. იგი მარცხენა პირველ კულისში ზის და სპეციალური პულტის მეშვეობით წარმართავს სპექტაკლს.

როცა თეატრის კარი გაიხსნება და მაყურებელი დარბაზში შემოსვლას დაიწყებს, წამყვანი რეჟისორი რადიოს საშუალებით სცენაზე იძახებს პირველ მოქმედებაში დაკავებულ მსახიობებს. ისინი საგრიმიოროებში ემზადებიან, იცვამენ კოსტიუმებს, იკეთებენ გრიმს. სცენაზე დეკორაციები უკვე აგებულია. ნელ-ნელა იკრიბება ორკესტრი.

„ნახევარი დარბაზი!“ – იძლევა მითითებას წამყვანი რეჟისორი. ეს ნიშნავს, რომ დარბაზი ნახევრად ბნელდება. ე.ი. მალე სპექტაკლი დაიწყება.

წამყვანი რეჟისორი, ნიალა გოძიაშვილი, ამ საქმეს 1988 წლიდან წარმართავს. თეატრში კი რამდენიმე ათეული წელია მოღვაწეობს. ადრე იგი საბალეტო დასში ცეკვავდა. ოჯახის შექმნის შემდეგ დროებით თეატრიდან წავიდა და დაბრუნების შემდეგ გოგი ალექსიძემ წამყვანი რეჟისორის სამუშაო შესთავაზა: „ეს სულ სხვა ენა, სულ სხვა ემოცია იყო. გოგიმ მოიტანა ისეთი მუსიკა, რომელიც მანამდე არა-

სოდეს იდგმებოდა ბალეტში. საინტერესო სამუშაო იყო, რომელსაც მუსიკის აღქმა სჭირდებოდა. მინიმუმ პარტიტურის კითხვა, მაქსიმუმ მუსიკის შეგრძნება“. ნიალას ეს არ გასჭირვებია. მას მუსიკალური განათლება მიღებული ჰქონდა, მაგრამ თეატრში უმთავრესი რამ ისწავლა – შინაგანად გრძნობს თეატრს, ამ ურთულეს, ჭირვეულ და მიმზიდველ სამყაროს. წამყვანი რეჟისორის ფუნქცია არ გახლავთ მხოლოდ ის, რომ დანიშნოს განათების ნომრები და უკარნახოს განათების რეჟისორს, გასცეს მითითებები დეკორაციის შესაცვლელად; იგი ყველაზე დაძაბულია მთელი სპექტაკლის დროს, უსმენს ორკესტრს, სცენაზე ადევნებს თვალს მოცეკვავეთა შესრულებას, გასცემს ბრძანებებს... თითოეული სპექტაკლი პრემიერის დღეს უდრის, როცა მღელვარება და ნერვიულობა ყველაზე მეტია. „ყოველი სპექტაკლის წინ ვღელავ. თვალწინ მიდგას პარტიტურა. შეიძლება დავუკრა კიდეც. ამ დროს თითოეულ მოძრაობას ვხედავ. არის გაუთვალისწინებელი მომენტებიც. მაგრამ გიას და არმენის იმედი მაქვს. კიდეც რომ გამოგრჩეს რაიმე, იმდენად მაღალი კლასის პროფესიონალები არიან, თავიდან აგაცილებენ ყოველგვარ გაუგებრობას“.

გია გელაძე თეატრის სცენის მთავარი მემანქანეა. მისი თექვსმეტკაციანი სამსახური სპექტაკლზე მუშაობას დამდგმელ ქორეოგრაფსა და მხატვართან ერთად იწყებს. მათაც სჭირდებათ რეპეტიციები, რათა ყველაფერი მოწესრიგებულად წარიმართოს, მსახიობს საფრთხე არ შეექმნას. ამიტომ, გია ყოველ დეტალს, დაზგას, ასასვლელ-ჩამოსასვლელ კიბეებს თავად ამოწმებს.

სამსახურის თანამშრომლები განაწილებულნი არიან მარჯვენა და მარცხენა კულისების კონტროლზე, ხუთი ადამიანი კულისების ზემოთ, პულტებზე მუშაობს. მათ „верховик“-ებს ეძახიან, რომლებიც ხუთი სართულის სიმაღლეზე ისინი სცენის შიგნით მოწყობილი სპეციალური ლიფტით ადიან. მათ საკმაოდ დაძაბული მუშაობა უწევთ. თავად გია ყველა ამ საქმიანობის კოორდინატორია. იგი თეატრში 18 წელია მუშაობს. 1996 წლიდან კი სცენის მთავარი მემანქანეა: „18 წელი, ეს ნახევარი ცხოვრებაა. ვერავინ დამარწმუნებს, რომ თუნდაც მსახიობს უფრო მეტად უყვარდეს თეატრი, ვიდრე ჩვენ. ბევრი ღამე მაქვს აქ ნათევი, აქაურობაზე საკუთარ ოჯახზე ნაკლებად არ შემტკივა გული. ახალ თანამშრომელსაც, თუ შევატყვე, რომ ეს საქმე არ აინტერესებს, დიდხანს არ გავაჩერებ. ჩვენ უმძიმესი დღეები გამოვიარეთ, მაგრამ თეატრი არ გაჩერებულა. ახლა თეატრი გამოცოცხლდა. სპექტაკლები სისტემატური გახდა. ჩვენც სამუშაო რიტმში ვართ. ტექნიკა კი მოძველდა, 70-იანი წლების შემდეგ არაფერი შეცვლილა. გასტროლებზე, თეატრებში რომ ვნახულობ, რა საშუალებებია, ვოცნებობ იმ დროზე, ჩვენთანაც რომ იგივე პირობები გვექნება“.

...წამყვან რეჟისორს რადიოკავშირი აქვს განათების მხატვარ არმენ ანანელთან, რომელიც თეატრში 25 წელია მუშაობს. მისი ჯიხური სცენის მოპირდაპირე მხარესაა განლაგებული, დარბაზის ბოლოში.

მსახიობები კოსტიუმებს საგრიმიოროებში იცვლიან, მაგრამ როცა მოკლე დროში უწევთ გადაცმა, მარჯვენა კულისების ჯიბეში (ასე ეწოდება დეკორაციების შესანახად გამოყოფილ ადგილს) მოწყობილ სპეციალურ ჯიხურში იცვლიან. აქ მათ ჩამცმელები ეხმარებიან. სპექტაკლისთვის საჭირო სხვადასხვა რეკვიზიტს კი სათანადო სამსახურის თანამშრომლები აწესრიგებენ თავიანთ ადგილებზე.

კულისებში ზოგჯერ საკმაო ხმაურია. იცინიან... ისმის კაბების შრიალი, სცენაზე გასვლის წინ პირჯვარს იწერს ერთი მოცეკვავე; მეორემ კი უკვე დაასრულა თავისი ვარიაცია და კულისებისკენ გამორბის; სუნთქვა გახშირებია, მაგრამ წუთიც და იგი ისევ სცენაზე გადის. ასეა დაუსრულებლად. ყოველ სპექტაკლზე უნდა დაიხარჯო, ისინი ხომ ერთმანეთს არ ჰგვანან.

... სპექტაკლი სრულდება. მაყურებელთა ოვაციებზე ფარდა ისევ ზევით მიიწევს. მადლობის გადასახდელად (ე.წ. поклон-ზე) ჯერ კორდებალეტი გამოდის, შემდეგ სოლისტები, ბოლოს კი მთავარი პარტიების შემსრულებლები. დირიჟორს ერთ-ერთი სოლისტი მოიწვევს კულისებიდან. მსახიობს ყვავილებს მიართმევენ. ფარდა ისევ იხურება. თუ კარგად დააკვირდებით, იქნებ მსახიობთა შეძახილებიც გაიგონოთ, რომლებიც კარგად შესრულებული სპექტაკლის შემდეგ კმაყოფილებასა და სიხარულს გამოხატავენ. ასეთი დღეები ჩვენს ბალეტს მოუმრავლდა.

ხვალ ყველაფერი თავიდან იწყება... ხვალ სამუშაო დღეა!

წამყვანი რეჟისორი ნიალა გოძიაშვილი და ლაშა ხოზაშვილი; გია გელაძე და სცენის მემანქანეები დეკორაციებს ცვლიან; მზადება ფარდის ახდის წინ.

ესკიზები კორდებალეტისათვის

ისტორია თითქმის ყველას ერთნაირი აქვს – გალეტი გავშვობის მოგონებებთან ასოცირდება. პირველი შთაბეჭდილების შემდეგ, რომელიც ამა თუ იმ საბალეტო სპექტაკლზე მიიღეს, გადაწყვიტეს ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მისვლა.. დღეს კი მათ მოხდენილ შესრულებაზე, ხაზების სისწორესა და ჰარმონიაზეა დამოკიდებული საბალეტო სპექტაკლის წარმატება. გაიხსნება ფარდა და დაგატყვევებთ კორდებალეტის განლაგება „სერენადაში“... სინაზე და ჰაეროვნება შემოაქვთ „გედების ტბაში“... მიუკარებელნი და ტრაგიკულნი არიან „ჟიზელში“... მხიარულნი და ცეცხლოვანნი – „დონ კიხოტში“. ცხოვრობენ გალეტის სიყვარულით. ალბათ, ყველაფერი ღირს იმ წუთებისთვის, ფარდის უკან რომ დგანან და მოუთმენლად ელიან... სპექტაკლები ბევრი აქვთ, ყოველთვის სხვანაირი და დიდ ემოციებთან დაკავშირებული. ისინი კორდებალეტში ცეკვავენ.

ეკა შავლიაშვილი

ძალიან შემთხვევით, როგორც უმეტესად ხდება, მივიდა ბალეტზე. „გედების ტბა“ რომ ნახა, მოსვენება დაკარგა. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში უკვე დაგვიანებული იყო, მაგრამ მიიღეს. გაუმართლა, რომ თამარ ვიხოდცევას კლასში შვიდი წელი ისწავლა. ბოლო ორი წელი ჭაბუკიანთან მეცადინეობდა, რომელიც უკვე ასაკში იყო. ეკას თვალწინ უდგას სავარძელში მჯდომი, ჯოხს დაყრდნობილი დიდი მაესტრო. მას შეეძლო, დამჯდარს აეხსნა ურთულესი მოძრაობები ისე, როგორც არავის. მას ჰქონდა საკუთარი ენა, პლასტიკა, რომელიც აჯადოებდა მომავალ ბალერინებს. სცენაზე პირველად ირა ალექსიძის შემოქმედებით საღამოზე იცეკვა. ეს იყო პირველი შეხება თეატრის დიდ სამყაროსთან. პირველად გაიკეთა გრიმი, მოირგო კოსტიუმი... მაგრამ თეატრში გამოსვლა მაინც სხვა იყო. „ჟიზელში“ კორდებალეტში უნდა ეცეკვა. რეპეტიტორმა უთხრა: „აქ დადგებით! შენ, რა არ იცი, როგორ უნდა იდგე!“. რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ ღელავდა. ახლაც, სცენაზე გასვლის წინ შიში ყოველთვის იპყრობს. ადრე ტიროდა. „ახლა აღარ ვტირივარო“, – გვითხრა.

თავის კარიერას ირინე ჯანდიერს უმადლის. იგი გვერდით დაუდგა. დასში რომ მოვიდა, სეზონიც დაიხურა. მთელი ზაფხული ქალბატონი ირა მირტას პარტიისთვის ამზადებდა. ყველა პრობლემას უგვარებდა. ამიტომაც შეარქვეს მას „ეკას თეატრალური დედა“.

ჰქონდა წარმატებები. 1987 წელს, ჯერ კიდევ სასწავლებლის მოსწავლემ, ამიერკავკასიის ბალეტის მოცეკვავეთა კონკურსზე, უმცროს ჯგუფში II ადგილი აიღო. ვარიაცია სპეციალურად დაუდგა გოგი ალექსიძემ, რომელმაც შემდგომშიც არაერთხელ გაუწოდა თანადგომის ხელი. იცეკვა მირტა („ჟიზელი“), დიდი გედები („გედების ტბა“), ზაფხულის ფერია („მძინარე მზეთუნახავი“)...

იყო სირთულეებიც. პირადი ტრავმა თუ თეატრის მძიმე ყოფა, მისთვის ტრაგედიასავით იყო. გამოცდილი მოცეკვავე ბედნიერია, რომ განახლებული საბალეტო ცხოვრების თანამონაწილეა. ახალი სპექტაკლები, შეხვედრები გამოჩენილ ქორეოგრაფებთან... დასიც უფრო ორგანიზებული გახდა. თეატრი მისთვის მეორე ოჯახია, თუმცა, არც კი იცის, მეორეა თუ პირველი. უფრო დიდ დროს ხომ აქ ატარებს და ვერც წარმოუდგენია, თუ ოდესმე დადგება დრო, როცა ამ სამყაროსთან კონტაქტი არ ექნება. „ახლა ყველა პირობაა, ოღონდ გააკეთე, ისწავლე. მინდა ახალგაზრდა კოლეგებს ვუთხრა, რომ გამოიყენონ ეს შანსი, შეიძლება იგი ადამიანს ყოველთვის არ მიეცეს!“

ნინო მახაშვილი

ბალეტზე რომ მიიყვანეს, აღფრთოვანებული არ დარჩენილა. თანდათან შეუყვარდა ეს სამყარო. ამას პედაგოგების მარგარიტა ზერცალოვასა და ლარისა ჩხიკვიშვილის დამსახურებად თვლის. დღეს არჩევანით კმაყოფილია. დაუღალავად შრომობს. თეატრში მოსვლიდან ორ კვირაში იაპონიაში საგასტროლოდ მოუხდა წასვლა. იცეკვა „Green“-ში. იაპონიიდან ჩამოსვლის შემდეგ „მაკნატუნაში“ ესპანური თოჯინას პარტია მისცეს. ბევრი რამ მის ბიოგრაფიაში შემთხვევითობას უკავშირდება. წელს, დონეცკში გასტროლების დროსაც ასე იყო. იმ ღამით სპექტაკლი არ ჰქონდა. ქალაქს ათვალიერებდა და მოულოდნელად გამოუცხადეს, რომ მსახიობი უნდა შეეცვალა ერთმოქმედებიან ბალეტში „სიზმრები იაპონიაზე“. რეპეტიციაც არ გაუვლია, მაგრამ დაეხმარა ის, რომ მეცადინეობებს არ აცდენს, ყურადღებიანი და საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნია. ასე ემოციურად, როგორც დონეცკში, არასდროს უცეკვია. უფრო ისეთი ბალეტები უყვარს, სადაც ემოციას გამოხატავს. ყველა ბალერინა გრძნობს, რა უხდება; ნინოსთვისაც საყვარელია ჩელიტას მეგობრის პარტია („დონ კიხოტიდან“), ბოშა („ორი მტრედი“), სოლო ვარიაცია („წამი გარდასახვამდე“)... აქ მართლაც ძალიან ემოციური და პლასტიურია.

გიორგი ჩხაიძე

ჟურნალის ეს ნომერი როცა დაიბეჭდება, გიორგი ჩხაიძე საქართველოში არ იქნება. მას დროებით სამუშაოდ თურქეთში მოუხდა წასვლა. თუმცა, სექტემბერში თეატრში დაბრუნდება და თავის მეექვსე სეზონს დაიწყებს. ახლახან იგი მცირე დროით ჩამოვიდა ქალაქში და, რა თქმა უნდა, თეატრს მიაშურა. შესთავაზეს სპექტაკლებში მიეღო მონაწილეობა, რასაც სიამოვნებით დათანხმდა, რადგან ეს მისი ცხოვრების მთავარი საქმეა.

ყველაფერი კი ბათუმში დაიწყო. აჭარის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე აიძულეს, ახალგახსნილი ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასში ეცეკვა. სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მოუწია ამ ნაბიჯის გადადგმა. ბექარ მონავარდისაშვილს უმადლის, რომ საბალეტო ხელოვნების მშვენიერება დაანახა. რამდენიმე სპექტაკლი ბათუმში იცეკვა და 2002 წელს ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გააგრძელა სწავლა. 20 წლის ასაკში მოუხდა მთელი პროგრამის ათვისება. მან ხომ საბალეტო ტერმინებიც არ იცოდა კარგად. ამ საქმეში პედაგოგების ნინა დიდებულიძისა და ლევან მხითარიანის დიდი ღვაწლია. მესამე კურსზე კი დავით ხოზაშვილთან მეცადინეობდა. „ფაქტობრივად მან მომცა ბიძგი, რომ თამამად გამოვსულიყავი სცენაზე“, – ამბობს გიორგი.

მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში უკვე არის რამდენიმე მნიშვნელოვანი როლი: რუსული თოჯინა, დროსელმაიერი („მაკნატუნა“), კოჭა („ზაფხულის ღამის სიზმარი“), სოლისტი („წამი გარდასახვამდე“), ჟიგა („მოცარტინა“). სახასიათო ცეკვები უფრო ხიბლავს, სიამოვნებს. მაყურებელს კარგად ახსოვს ბებია „ამაო სიფრთხილიდან“ გიორგი ჩხაიძის შესრულებით. გიორგის ამ პარტიის შესრულება ყველაზე მეტად ენატრება.

ლანა მღებრიშვილი

ლანა ფიქრობს, რომ ნამდვილად გაუმართლა, რადგან თეატრში მისი მუშაობა იმ დროს დაემთხვა, როცა ბალეტში სასიამოვნო სიახლეებია. განახლდა რეპერტუარი. კარგი პირობები შეიქმნა მუშაობისათვის. დღეს ადრე იწყებს. ექსერსისის შემდეგ რეპეტიციებია. ლანა თითქმის ყველა სპექტაკლშია დაკავებული. ცეკვავს „დონ კიხოტში“ (ჩელიტას მეგობარი), „ჟიზელში“ (პა-დე-სიზი), „გედების ტბაში“ (პა-დე-ტრუა), „ლეაში“ („მათხოვრები“)... დიდი პასუხისმგებლობა იყო, როცა მესამე ნაწილის შესრულება მიანდეს ბალეტში „წამი გარდასახვამდე“. ძალზე ხშირად მას ნინო მახაშვილთან ერთად უწევს სცენაზე გამოსვლა. ისინი მეგობრები არიან, სასწავლებელშიც ერთად სწავლობდნენ, შეთვისებულები არიან და თეატრშიც აგრძელებენ მეგობრობას. ლანამ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მარგარიტა ზერცალოვასა და ლარისა ჩხიკვიშვილის კლასში ისწავლა. სამომავლო გეგმები, რა თქმა უნდა, ბალეტს უკავშირდება. უნდა ოსტატობის ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ ჩელიტას პარტიის შესრულება შეძლოს. ამისთვის იგი ბევრს შრომობს. ცდილობს, ფორმაში იყოს. არავინ იცის, რას გიმზადებს ხვალინდელი დღე!

ალისა პოგდანოვა

„ბავშვობაში სტუდია „ბასტი-ბუბუში“ დავდიოდი, მაგრამ მირჩიეს ქორეოგრაფიულ სასწავლებელში კლასიკურ ცეკვებს დავუფლებოდი. ასეც მოვიქეცი და ჩემს არჩევანში არც შევმცდარვარ. ვარ საკმაოდ დამოუკიდებელი და ყველაფერს ჩემი შრომისმოყვარეობის წყალობით ვაღწევ. დღეს ბალეტი ჩემთვის ყველაფერია. ეს ის სამყაროა, სადაც თავს ყველაზე კარგად ვგრძნობ.

სასწავლებელში არაჩვეულებრივი პედაგოგები გვასწავლიდნენ. მათ ამაგს არასოდეს დავივიწყებ. მარგარიტა ზერცალოვამ და ლარისა ჩხიკვიშვილმა ბევრი გააკეთეს ჩემთვის. ახლა, თეატრში სვეტლანა გოჩიაშვილთან, მარინა ალექსიძესთან და ნუკრი მაღალაშვილთან ვმუშაობ. ყოველთვის გულისყურით ვეკიდები მათ შენიშვნებს. ვცდილობ ყველაფერი ისე გავაკეთო, რომ მათ მოეწონოთ და მეც კმაყოფილი დავრჩე“.

დილიდან იწყებს მეცადინეობას და არასოდეს ბეზრდება. თეატრში სასწავლებლის დამთავრებისთანავე მოვიდა. გამოსაშვებ კლასში „დონ კიხოტში“ იცეკვა ვარიაცია. ეს მისი პირველი სერიოზული გამოსვლა იყო სცენაზე. ალისა კორდებალეტის მსახიობია და ბედნიერებას ანიჭებს ის პარტიები, რომლებსაც სხვადასხვა სპექტაკლებში ცეკვავს. „ჩემს სულიერ მდგომარეობას, ვფიქრობ, კარგად მიესადაგება ჟიზელის პარტია. შევეცდები ყველაფერი გავაკეთო რომ ვიცეკვო“, – ასეთი სურვილებით ცხოვრობს ახალგაზრდა ბალერინა, რომელიც იმედიანად შემოდის ყოველ დღე თეატრში,სადაც სწავლობს ცეკვას,ურთიერთობებს და სიყვარულს.

გიორგი საგინაშვილი

თეატრი მისთვის ის სამყაროა, რომელიც ბავშვობის მოგონებებს უკავშირდება. მისი ოჯახის წევრები აქ მუშაობდნენ, ამიტომ, ბავშვობიდანვე ეზიარა ხელოვნების სიყვარულს. იგი ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ მას თეატრის მიტოვება არ უფიქრია მაშინაც კი, როცა აქ დიდი კრიზისი და გაუსაძლისი პირობები იყო. გიორგი ამით ამაყობს. თუმცა თეატრის დატოვება მცირე ხნით მაინც მოუხდა, მაგრამ ვერ გაძლო და ისევ უკან დაბრუნდა.

ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ლევან მხითარიანი ასწავლიდა. ერთი წელი ვახტანგ ჭაბუკიანთან მოუხდა მეცადინეობა. ეს ბედნიერი დღეები არასოდეს დაავიწყდება.

პირველად სცენაზე სულ პატარა გამოვიდა. „დონ კიხოტის“ მასიურ სცენებში მონაწილეობისათვის სასწავლებლიდან მოიყვანეს. შემდეგ თეატრის კორდებალეტში ჩაირიცხა. ცეკვავდა კლასიკურ რეპერტუარს – პა-დე-დეს „ჟიზელში“, პა-დე-ტრუას „გედების ტბაში“. სერიოზული წამყვანი პარტია „ამაო სიფრთხილეში“ (ზ. კიკალეიშვილის დადგმა) შეასრულა – კოლენი მისი ერთ-ერთი საყვარელი გმირია. კლასიკური ბალეტები უფრო უყვარს, მაგრამ თანამედროვე ქორეოგრაფიულ დადგმებშიც მოსინჯა საკუთარი შესაძლებლობები. ჯერ გოგი ალექსიძის ერთმოქმედებიან ბალეტებში მონაწილეობდა; ახლა კი ბალანჩინის „სიმფონიურ ვესტერნში“ adagio-ს ცეკვავს ნინო გოგუასთან ერთად, სადაც გამოკვეთილია მისი ხასიათი; მსუბუქი ნახტომი და დახვეწილი მოძრაობები. გიორგის რეპერტუარში არის ასევე პარტიები ბალეტებიდან; „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „სიზმრები იაპონიაზე“, „ჩაკონა“...

გიორგი ფიქრობს, რომ ახლა თეატრში ყველა პირობა შეიქმნა მუშაობისათვის. თუ სურვილი გაქვს, ყველაფერი გამოგივა. თავადაც ცდილობს მუდამ ფორმაში იყოს. „ეს გასტროლებზე უფრო კარგად გამომდის, ალბათ, იმიტომ, რომ გარე პრობლემებზე ნაკლებად ვფიქრობ“.

ბალეტის მსახიობის კარიერა არაა ხანგრძლივი. გიორგი საგინაშვილი ცეკვას მანამდე აპირებს, სანამ შეატყობს, რომ ფორმაშია. მისი გეგმები კი შემდეგ ისევ ამ სამყაროში ყოფნას უკავშირდება. „ბავშვებთან ურთიერთობა მაქვს. თუ ატყობ, რომ ბავშვი გიჯერებს, მუშაობაში მოგყვება, შენგან პედაგოგი გამოვა. ამაზე სერიოზულად არ მიფიქრია, მაგრამ შეიძლება ეს გზაც ავირჩიო!“ – ასე ფიქრობს საბალეტო დასის სოლისტი გიორგი საგინაშვილი, რომელსაც საკუთარი შვილის საბალეტო კარიერაც ეიმედება.

Ballet

INFO

კოლა ფეიქრიშვილის გამოფენა

ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის III კურსის სტუდენტმა კოლა ფეიქრიშვილმა საკუთარი ფერწერული ტილოებისა და ფოტონამუშევრების პირველი გამოფენა ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოაწყო. ხატვამ იგი შვიდი წლის ასაკიდან გაიტაცა. პარალელურად, ნაჩუქარი ფოტოაპარატით, ფოტოეტიუდების გადაღება დაიწყო. „ვიღებდი იმას, რაც მომწონდა – მზის ჩასვლას, ცისარტყელებს, მეგობარ ბალერინებს. წამიერი მშვენიერების დაჭერა მიტაცებს“, – გვითხრა მან. სწორედ ასეთი სამყაროა ასახული კოლას ნამუშევრებში, რომელშიც ჩანს მისი გულწრფელობა და სიყვარული მშვენიერებისადმი. გამოფენის ორგანიზებაში კოლას კომპანია „კაპაროლი“ და ფოტოცენტრი „კონიკა“ დაეხმარნენ. ახალგაზრდა შემოქმედს „არაბესკი“ შემდგომ წარმატებებს უსურვებს.

კოლა ფეიქრიშვილის ფოტოეტიუდი

სტუდენტური აქცია

155-ე სეზონის დაწყებისთანავე, თეატრისა და საბალეტო დასის ხელმძღვანელობამ, დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს საბალეტო სპექტაკლებზე უფასოდ დასწრების საშუალება მისცეს. თეატრს ესტუმრა დედაქალაქის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 2500 სტუდენტი, რომელთა წარმომადგენლები 22 ნოემბერს შეხვდნენ საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელს ნინო ანანიაშვილს. გულახდილი საუბრის შემდეგ, რომელიც თეატრის საბალეტო დასის დღევანდელობასა და სამომავლო გეგმებს შეეხო, სტუდენტებმა თავიანთი მეგობრების საერთო აზრი გამოხატეს.

ლევან ლაფაჩიძე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი: „კიდევ ბევრ ახალგაზრდას აქვს სურვილი, მოვიდეს თეატრში და ნახოს ეს მშვენიერი ბალეტები. სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდით, თუ ასე მაღალი დონის სპექტაკლები გქონდათ რეპერტუარში“.

ქეთი არველაძე, საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის თავმჯდომარე: „უდიდეს მადლობას გიხდით ჩემი მეგობრების სახელით. რამდენიმე სპექტაკლი ვნახეთ და კმაყოფილი დავრჩით, როგორც დასის შესრულების დონით, ასევე მხატვრობითა და კოსტიუმებით. ეს მართლაც ძალიან ლამაზია. ალბათ, არ გაგიჭირდებათ, გასტროლებზე წარმატებულად წარმოაჩინოთ ჩვენი ქვეყანა. გამარჯვებებს გისურვებთ“.

ირაკლი ხრიკაძე, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი: „ჩვენ დაინტერესებული ვართ არა მხოლოდ სპექტაკლები ვნახოთ, არამედ უშუალოდ დადგმის პროცესში მივიღოთ მონაწილეობა“. ასეთივე სურვილი გამოთქვეს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა, რომელთა ერთი ჯგუფი უკვე ესწრებოდა „გედების ტბის“ რეპეტიციას და ჩანახატებიც გააკეთა. ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა, სოციოლოგიური გამოკითხვების საფუძველზე, ქალბატონი ნინო საინტერესო შეხვედრების ცენტრში მიიწვიეს.

ნინო ანანიაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუდენტებს თანამშრომლობისათვის და დაჰპირდა კიდევ ახალი ფორმების შემუშავებას, რომლის მიზანი იქნება, ახალგაზრდობა უფრო მეტად დააახლოვოს კლასიკურ საბალეტო ხელოვნებასთან. იანვრიდან შემოღებული იქნება სტუდენტური აბონემენტი, რომლის ფასი მათთვის ხელმისაწვდომი იქნება.

ქველმოქმედება

22 ნოემბერს საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი შეხვდა აფხაზეთში და სამაჩაბლოში დაჭრილთა და დაღუპულთა დედების კავშირის – „არდავიწყება“, წარმომადგენლებს. მეომარ ოჯახთა მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, ნინო ანანიაშვილმა გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საკუთარი სახსრებით, კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების ამანათები გადასცა მათ საჩუქრად და შემდგომშიც აღუთქვა თანადგომა. კავშირის თავმჯდომარემ ც. საღარაძემ ომში დაღუპული შვილების დედათა სახელით მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნინოს თანადგომისათვის.

გასული წლის განმავლობაში საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი სპეციალურ საქველმოქმედო პროგრამას ახორციელებდა, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ჩვილ ბავშვთა სახლისადმი მუდმივ დახმარებას ეკავა. მათთვის შეძენილ იქნა კვების პროდუქტები, წყლის გამათბობლები, ზამთრისთვის გაეგზავნათ საწვავი; საშობაოდ კი პატარებს სპეციალურ საწოლებს გადასცემენ საჩუქრად.

ინვალიდ და უნარშეზღუდულ ბავშვთა მოწვევა საბალეტო სპექტაკლებზე ტრადიციად იქცა. 11 ნოემბერს ჩაიკოვსკის ბალეტზე „გედების ტბა“ ასეთი კატეგორიის ასი ბავშვი მოიწვიეს, ორგანიზაციების „ანიკა“, „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ და „პირველი ნაბიჯის“ მეშვეობით.

მარინა ჯანაშია,
რუსთაველის თეატრის მსახიობი:
ამ ბოლო დროს ხშირად ვესწრები ჩვენი საბალეტო დასის სპექტაკლებს და სიამოვნებით მინდა აღვნიშნო. რომ დასი არაჩვეულებრივ ფორმაშია. აქვს საინტერესო რეპერტუარი. ასეთი სოლისტები და კორდებალეტი ნებისმიერი სახელგანთქმული თეატრის სცენას დაამშვენებდა.
ახალ 2007 წელს თეატრის მთელ კოლექტივს, მისს საბალეტო დასს, ვუსურვებ დიდ პირად ბედნიერებას და შემოქმედებით წარმატებებს. მომავალ წელს ვისურვებდი ახალ, საინტერესო სპექტაკლებს და მათ გასტროლებს მსოფლიოში.

შიდსით დაავადებულთა დასახმარებლად

1 დეკემბერი შიდსის გლობალური ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად მსოფლიო საზოგადოების გაერთიანების დღეა. საქართველოში დღეს შიდსით ინფიცირებული რამდენიმე ბავშვია აღრიცხული. საზოგადოების მხრიდან ამ ადამიანების პრობლემების გათავისების მიზნით, 30 ნოემბერს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში, ნინო ანანიაშვილის ინიციატივით გაიმართა საქველმოქმედო სპექტაკლი – წარმოდგენილ იქნა ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“.

ნინო ანანიაშვილი, სანდრა რულოვსი, თამაზ მჭედლიძე

აქცია განხორციელდა საქართველოს ბავშვთა ფედერაციის, შიდსის ცენტრის, შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის, რადიო „ახალი ტალღის“ მხარდაჭერით. აქციის გენერალური სპონსორი სანკტ-პეტერბურგის სამედიცინო პალატის ხელმძღვანელი, მედი-ჯგუფის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ მჭედლიძე გახლდათ. სპონსორი – საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია.

სპექტაკლის დაწყების წინ საზოგადოებას მიმართა პირველმა ქალბატონმა სანდრა რულოვსმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა საბალეტო დასის ხელმძღვანელს საქველმოქმედო საქმიანობისათვის და მას სპეციალური ჯილდო გადასცა. სამადლობელო დიპლომები გადაეცათ ღონისძიების სპონსორებსა და ამერიკის შეერთებული შტატების შიდსთან ბრძოლის ცენტრის წარმომადგენლებს.

ნინო ანანიშვილი: „სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ აქციებში მეც მიმიღია მონაწილეობა. ამ აქციით მინდოდა საზოგადოების ყურადღების მიქცევა, რათა გვახსოვდეს ეს პრობლემა და დახმარება გავუწიოთ დაავადებულ ადამიანებს, განსაკუთრებით – ბავშვებს. მინდა მივმართო მსხვილ კომპანიებს, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ დაავადებულთა დასახმარებლად“.

თამაზ მჭედლიძე, სანკტ-პეტერბურგის სამედიცინო პალატის ხელმძღვანელი, მედი-ჯგუფის დამფუძნებელი, პროფესორი: „ასეთი საქველმოქმედო აქციით პრობლემა არ გადაიჭრება, მაგრამ დახმარება კი შესაძლებელია. მთავარია, ინფიცირებულები საზოგადოებამ მიიღოს, როგორც სრულფასოვანი ადამიანები და მათ მიმართ დადებითად განეწყოს.

მე იმ ქვეყანაში ვცხოვრობ, სადაც ქალბატონი ნინო ანანიაშვილი პოპულარული პიროვნებაა, როგორც პრიმა-ბალერინა და როგორც ქველმოქმედი. ჩემმა დამოკიდებულებამ მისადმი განაპირობა ის, რომ შევუერთდი ამ აქციას. კმაყოფილი ვარ, რომ ვნახე დასის სპექტაკლი. საუცხოო სანახაობაა. მინდა, რომ ქართველ მაყურებელს მივულოცო ეს წარმატება“.

დოკუმენტური კინოჩვენება

მეშვიდე წელია საქართველოში საფრანგეთის საელჩო და ა. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი დოკუმენტური ფილმების ჩვენებას ახორციელებს. ნოემბერში დიუმას ცენტრმა, კინოს სახლმა და კინოთეატრმა „რუსთაველი“ კვლავ უმასპინძლა დოკუმენტური კინოს მოყვარულთ.

სასიამოვნოა, რომ წარმოდგენილ რეპერტუარში ჩართულია ფილმები ბალეტის ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ. წელს მაყურებელს საშუალება ჰქონდა, ენახა გ. სკორერის დოკუმენტური ფილმი „ცეკვა და დეგა“ (მე-19 საუკუნის ბალეტის რეალობა), ს. კორბერის „ბეჟარი, თქვენ თქვით ბეჟარი?“ (ჟ. ტრენტინიანი მოგვითხრობს მორის ბეჟარის შესახებ) და ვ. მინეტოს „ლამაზი ჟესტები მოსკოვში“ (დ. ბუავენი მოსკოვის თანამედროვე ცეკვის აკადემიაში).

ა. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი დიდ სამსახურს უწევს საბალეტო ხელოვნების მოყვარულთ. გასულ წელს ამ ჩვენების ფარგლებში წარმოდგენილ იქნა საყურადღებო ფილმები ჯორჯ ბალანჩინის, ვიოლეტა ვერდისა და მაია პლისეცკაიას შესახებ. ჩვენება ტრადიციულია და მომავალ წელსაც გაიმართება.

რისმაგ გორდეზიანი,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი: უპირველესად დიდი სიხარული მინდა გამოვხატო, რომ საბალეტო დასმა და საერთოდ თეატრმა შეძლო გადაერჩინა საკუთარი თავი, .ყურადღებას იმსახურებს დასის მზადყოფნა, გადაჭრას ურთულესი ამოცანები. ამ ბოლო დროს ამაღლდა საშემსრულებლო დონე,.ხშირად ვესწრები სპექტაკლებს. თუმცა ყველა ერთი დონის შეიძლება არაა, მაგრამ არის სურვილი, რომ უმაღლესი საშემსრულებლო დონე იქნეს მიღწეული. განსაკუთრებით მოხარული ვარ იმით, რომ თეატრს ჰყავს მაყურებელი. მინდა საახალწლოდ გისურვოთ თქვენ და თქვენ სახელოვან დასს, მის სახელოვან ხელმძღვანელს ნინო ანანიაშვილს ყველა სანუკვარი პროექტის განხორციელება.

ზურაბ აბაშიძე, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი: ნამდვილად აღორძინების გზაზეა ქართული ბალეტი. დაიწყო სრულიად ახალი ცხოვრება, რენესანსს ვუწოდებდი მე ამას, რადგან აღფრთოვანებული ვარ პრემიერების რაოდენობით. ვეხუმრებოდი ქ-ნ ნინოს, რამდენჯერაც რუსთაველზე ჩავიარ-ჩამოვიარე, იმდენი ახალი პრემიერის აფიშას მოვკარი თვალი. მომავალ წელსაც დიდ გამარჯვებებს გისურვებთ.

საბალეტო დასის სპექტაკლების განრიგი 2006/2007 წლების სეზონისათვის

იანვარი

05	მაკნატუნა	15.00
06	მაკნატუნა	15.00
09	მაკნატუნა	15.00
10	მაკნატუნა	15.00
12	მაკნატუნა	15.00
13	მაკნატუნა	15.00
14	მაკნატუნა	15.00
20	დონ-კიხოტი	19.00
21	დონ-კიხოტი	15.00
26	რომეო და ჯულიეტა	19.00
27	რომეო და ჯულიეტა	19.00
28	რომეო და ჯულიეტა	15.00
31	რომეო და ჯულიეტა	19.00

მარტი

02	ჟიზელი	19.00
04	ჟიზელი	15.00
09	გედების ტბა	19.00
10	გედების ტბა	19.00
11	გედების ტბა	15.00
23	პრემიერა ლაურენსია	19.00
24	პრემიერა ლაურენსია	19.00
25	პრემიერა ლაურენსია	19.00
31	დონ-კიხოტი	19.00

აპრილი

01	დონ-კიხოტი	19.00
06	დონ-კიხოტი	19.00
13	ბალანჩინი II	19.00
14	ბალანჩინი II	19.00
15	ბალანჩინი II	15.00
26	I აქტიანი ბალეტები	19.00
27	I აქტიანი ბალეტები	19.00
28	I აქტიანი ბალეტები	19.00

მაისი

04	I აქტიანი ბალეტები	19.00
05	I აქტიანი ბალეტები	19.00
06	I აქტიანი ბალეტები	15.00
09	გალა კონცერტი	19.00

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება

FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET

ოქროს წრე:
ჯონ ფ. ტეფტი, მარიელა ს. ტეფტი, დონალ მაკლარენი, მეიდა მაკლარენი, მარკ ჰაუფი, ლილი ჰაუფი, ბადრი პატარკაციშვილი, ინა გუდავაძე, სარა ვილიამსონი, გიორგი ჭირაქაძე, ფადი ასლი, ია ფარულავა, რონალდ ს. მანგუმი, იოუნგსუკ ჰ. მანგუმი, ირინა ხომერიკი, ვახტანგ ანანიაშვილი, ვირჯინია მინგესი, ნენსი პენდარვის ჰარისი, ჯუდი ტისენი, ჯუმბერ ბერაძე, გრიგოლ ვაშაძე, თამუნა მოსაშვილი-შევარდნაძე, დომინიკ თეცგორი, გუ პინგი, ნენსი რომანო, ლუკ ჟანსენსი, ელიან ჰუფტი, მიჰაელ ლ. ვარუოლო.

ვერცხლის წრე:
ტერეზა გიბსონი, მარკ კირბი, ანა მარი, იასტიშოკი.

ბრინჯაოს წრე:
ელდარ შენგელაია, ნელი შენგელაია, ინა ბადაჩი, ჩარლზ ბადაჩი, გერი ქოები, ფატი ზადიშვილი, სტეფანი შტრაუსერი, ნინო სვანაძე, ცირა ჭელიძე, ლიკა საღარაძე, ნათია შათირიშვილი, დებორა მილერი, ქართლოს კანკაძე, ლია მაჭავარიანი, ვალერი დევისი, სილვა აკოპიანი, ჟანა აჯემიანი, ფრანსის ო. ჰანაველი, სნეჟანა საზდიკ, ლევან ბაქრაძე, ფაუსტო, ჯონ ელისი, პამელა ფაჰეი, ლენა მილოშევიჩი, სოფიკო სახვაძე.